პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

8 აგვისტო, ოთხშაბათი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 185 (15702)

ეროვნული დათვალიერება

ამ ღელვებული, წელში გამართული მიდიან კომუნისტები პარტიულ კომიტეტებში, რათა მიიღონ ახალი პარტბილეთები. ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამას თვითეული ადამიანისათვის. უდიდესი პასუხისმგებლობის შეგნება პარტიის საქმისათვის, მაღალი მოთხოვნების შესრულებისათვის, რომლებსაც იგი უყენებს თავის წევრებს, — აი მთავარი, რაც განსაზღვრავს კომუნისტთა განწყობილებას პარტიული ბილეთების გადაცემის დროს, რომელზეც გამოხატულია ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის პორტრეტი და წარწერილია მისი გულშეჩამწვდომი სიტყვები: პარტია არის ჩვენი ეპოქის გონება, პატიოსნება და სინდისი.

რსდმპ II ყრილობის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „ახლა, როცა ჩვენს პარტიაში მიმდინარეობს პარტიული დოკუმენტების გამოცვლა, თვითეული კომუნისტი ვალდებულია კიდევ და კიდევ ჰკითხოს თავის თავს, ყველაფერი გავაკეთე, რომ ვიყო ლენინური პარტიის წევრის წოდების ღირსი? ყველაფერი გავაკეთე, რომ ვიყო იმ მოთხოვნათა სიმაღლეზე, რომლებსაც სკკპ ყოველ წევრს უყენებენ მისი ისტორია და ტრადიციები, შემოქმედებითი, რევოლუციური საბჭოთა სინამდვილე?“.

ასე იქცევა მილიონობით კომუნისტი. მათი მისწრაფება იცხოვრონ და იშრომონ ლენინურად დღეს გამოხატება უწინარეს ყოვლისა შესანიშნავი შრომითი მიღწევებით, რომლებიც მიზნად ისახავენ ხუთწლედის მესამე წლის გეგმების წარმატებით შესრულებას. პარტიის წევრები სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში არიან, პირადი მაგალითით, დიდი ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობით იყოლიებენ თავიანთ ამხანაგებს შრომაში. დოკუმენტების გამოცვლასთან დაკავშირებული პარტიული ორგანიზაციების მრავალმხრივი საქმიანობა ხელს უწყობს კომუნისტთა წამყვანი როლის ამაღლებას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე.

ამ დიდმნიშვნელოვანი და პასუხსაგები ღონისძიების საერთო პარტიული აზრი, ხაზგასმით აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის მაისის პლენუმზე, ის არის, რომ კიდევ უფრო ავამაღლოთ კომუნისტთა აქტივობა, ინიციატივა და დისციპლინა, მკაცრად და მომთხოვნელად შევაფასოთ, თუ როგორ ასრულებენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს თვითეული პირველადი ორგანიზაცია და თვითეული პარტიული. მზადება პარტიული ბილეთების გამოცვლისათვის და თვით გამოცვლა დადებით გავლენას ახდენს პარტიულ ორგანიზაციათა საქმიანობაზე. ახლა უნდა განვამტკიცოთ და განვავითაროთ მიღწეული, გულდასმით შევიტანწალოთ. უფრო სრულად გამოვიყენოთ შეძენილი გამოცდილება. საქმე ეხება საკითხთა უალრესად ფართო წრეს. პირველადი ორგანიზაციების გავლენის დონე კომუნისტებსა და ყველა მშრომელზე, კრებების მოწყობის პრაქტიკა, კრებიკისა და თვითკრიტიკის განვითარება, კადრების იდეური წრთობა, ყველაფერი, რითაც უზრუნველყოფილია პარტიული რიგების დიდი მებრძოლური ძრაფ, მოითხოვს ღრმა, გულმოდგინე ანალიზს, კონკრეტულ დასკვნებს. სწორად იქცევიან ის კომიტეტები, რომლებიც, განიხილავენ რა გამოცვლის მიმდინარეობას, ყურადღებას უთმობენ პირველადი ორგანიზაციების მუშაობის შემდგომი სრულყოფის ძირეულ პრობლემებს.

პარტიული ორგანიზაციები ცდილობენ შეისწავლონ პარტიის თვითეული წევრი, იღვწიან, რომ კომუნისტებმა, რომლებისადმიც რაიმე პრეტენზია აქვთ, გამოსულნარონ თავიანთი ნაკლოვანებანი, უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ პარტიული კოლექტივის საქმიანობაში, სანიმუშოდ შესასრულონ თავიანთი საწარმოო, სამსახურებრივი და საზოგადოებრივი ვალდებულებანი. ინდივიდუალური გასაუბრებისა და კომუნისტთა ანგარიშების განხილვის, წინათ დადებული სასჯელების შესახებ საკითხის განხილვის დროს მომდინარეობს საფუძვლიანი, მომთხოვნელი მსჯელობა, რომელსაც პარტიული ბილეთების გადაცემა ახასიათებს და, როგორც წესი, საგრძნობი აღმზრდელობითი შედეგი მოაქვს.

მაგრამ ზოგიერთ ორგანიზაციაში ამ ბოლო ხანს ინდივიდუალური მუშაობა დოკუმენტების გამოცვლისათვის მზადების დაწყებით პერიოდთან შედარებით შესუსტდა: მოაწყეს რა მთელი რიგი საუბრები, მათ საქმე დამთავრებულად მიიჩნიეს. ყოველთვის როდი უბრუნდებიან საუბრების დროს ამხანაგებისათვის მიცემული დავალებების შესრულების შემოწმებას. ზოგჯერ ნელა ახორციელებენ ღონისძიებებს კომუნისტთა მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების რეალიზაციისათვის. პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან ქმედითად, ოპერატიულად გამოეხმაურონ პრობლემებსა და ნაკლოვანებებს, რომლებიც ვლინდება საუბრების მსვლელობაში. ამასთან არ უნდა შემოიფარგლონ ღონისძიებით მხოლოდ ცალკეული შენიშვნების გამო. გასაუბრების შედეგების განზოგადება შესაძლებლობას იძლევა უკეთ დავინახოთ მუშაობის ძლიერი და სუსტი მხარეები, გამოვყოთ მთავარი საკითხები, რომლებიც გადაუდებელ განხილვას საჭიროებენ.

ამას წინათ „პრავდაში“ გამოქვეყნდა კორესპონდენცია კომუნისტებთან საუბრის შესახებ, რომლებსაც აწყობენ ქალაქ კუბიშევის პარტიის სოვეტსკის რაიკომის მდივნები. რა თქმა უნდა, თვითეული მათგანს თავისთავად გარკვეული სარგებლობა მოაქვს, მაგრამ რაიკომი ანალიზს არ უკეთებს მათს შედეგებს მთლიანად ამა თუ იმ ორგანიზაციის მიხედვით, და ღონისძიებებს, რომლებსაც კომიტეტი ახორციელებს, ზზრარდ კერძო ხასიათი აქვს, პირველადი ორგანიზაციების საქმიანობის ზოგიერთი ხერხოწული საკითხი კი მისი თვალთახედვის გარეთ რჩება. უფრო სწორად წარმოებს ეს მუშაობა, მაგალითად, ქალაქ პერმის პარტიის ლენინის რაიკომში. აქ თვითეული მდივანი, ბიუროს თვითეული წევრი ხელმძღვანელობს თავიდან ბოლომდე რომელიმე ერთ პარტიულ ორგანიზაციას, რაც საშუალებას აძლევს გასაუბრების შედეგების საფუძველზე გამოიტანოს დასკვნები პარტიული კომიტეტისათვის და მოამზადოს კონკრეტული, ყურადსაღები რეკომენდაციები კოლექტივისათვის, რომლებსაც შემდგომ აცნობენ კომუნისტებს კრებაზე.

ყოველივე ამას დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიული ორგანიზაციებისათვის, სადაც მთავრდება დოკუმენტების გამოცვლა. დიდი კამპანიის საბოლოო ეტაპს რომ ვუახლოვდებით, საჭიროა ყურადღებით გავიაზროთ, თუ რით გაამდიდრა მან კომუნისტთა საქმიანობა, რა დაისახა მიზნად, რა მომართულებანი იქნება წამყვანი მათთვის მომავალში. მხარდაჭერის ღირსია უზბეკეთის პარტორგანიზაციის პრაქტიკა, სადაც დოკუმენტების გამოცვლის პირველ შედეგებსა და აქედან გამომდინარე მორიგ ამოცანებს განიხილავენ არა მარტო პირველადს ორგანიზაციებში, რაიკომებში, არამედ საოლქო კომიტეტებშიც, რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში. ამასთან ისახება ღონისძიებანი პარტიული მუშაობის მეთოდების შემდგომი სრულყოფისათვის.

პარტიული დოკუმენტების გამოცვლა გათვალისწინებულია 1974 წლის დამლევამდე. ვადა საკმარისია, რათა იგი მოვაწყოთ აუჩქარებლად, საქმიანად, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მითითებების შესაბამისად. რაც შეიძლება რაციონალურად უნდა გამოვიყენოთ გამოცვლისათვის გამოყოფილი ვადები, რათა არ გვქონდეს ორგანიზაციული ხარვეზები, დროის ამაო დაკარგვა, ახალი პარტიული ბილეთის გადაცემა კი რაც შეიძლება მეტ აღმზრდელობითს გავლენას ახდენს.

დოკუმენტების გამოცვლასთან დაკავშირებული მთელი მუშაობის წარმატებით წარმართვა, კომუნისტთა აქტივობის შემდგომი ამაღლება ბრძოლაში ხუთწლედის კონკრეტული სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების შესრულებისათვის თვითეული პარტიული კოლექტივის, თვითეული კომიტეტის მოვალეობაა.

PRAVDA

7 აგვისტოს მოწინავე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის X პლენუმის გადაწყვეტილებანი—ცხოვრებაში!

სიტყვასა—საქმე!

მენაკვლადგურეთა წვლილი

ბათუმი. (საკ. კორ.). ბათუმელი მენავსადგურეები. წარმატებით ანაღდებენ სახელმწიფო გეგმებსა და სოციალისტურ ვალდებულებებს. განვლილ თვეებში მათ ჩქაროსნული მეთოდით დაამუშავეს მშრალი ტვირთის ათობით გემი, რითაც დაიზოგა 16.000-ზე მეტი გემ-საათი. ეს დაახლოებით იმდენია, რაც 9 დიდტონაჟიანი გემის დაცლას დასჭირდება.

კარგი ნაყოფი გამოიღო რკინიგზელთა და მენავსადგურეთა მეგობრობამ და გაჩაღებულმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ, ასეთი ურთიერთობით ახლა საწარმოო უბნებში შეუფერხებლად იღებენ ვაგონებს.

განსაკუთრებით აქტიურობენ ბრიგადები, რომლებსაც ა. მელია და რ. კობახიძე ხელმძღვანელობენ. დაუღალავად შრომობენ მექანიზატორები ვ. ბოლქვაძე და შ. ჯინჭარაძე.

ლიკვიდაციის ნარჩენების ბაღალი კულტურისათვის

თბილისი. ცხიმკომბინატის (დირექტორი შ. ქუტიძე) კოლექტივი სოციალისტურ შეჯიბრებაში რომ ჩაება, სხვა ვალდებულებებთან ერთად იკისრა სისტემატურად აეაღლოს წარმოების კულტურა. სიტყვა როდი გატესეს. აქ პროდუქციის რეალიზაციის დავალება ვადამდე გაანაღდეს, მომხმარებელს გეგმის გადამეტებით დიდი რაოდენობით მიაწოდეს მცენარეული და ცხოველური ცხიმები.

კომბინატმა საწარმოო კულტურის საკავშირო დათვალიერებაში გაიმარჯვა და დაჯილდოდა საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დიპლომით.

საწარმოს კოლექტივი გულდასმით გაეცნო საქართველოს კპ ცკ X პლენუმის მასალებს, ღრმა ანალიზი გაუკეთა ნახევარი წლის მუშაობის შედეგებს და ერთსულოვნად გადაწყვიტა ვადამდე შეასრულოს წლიური გეგმა და დავალების გადამეტებით გამოუშვას ათეულ ათასობით მანეთის მცენარეული და ცხოველური ცხიმები.

ლ. ი. ბრეჟნევის საუბარი ირანის პრემიერ-მინისტრთან

7 აგვისტოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა **ლ. ი. ბრეჟნევმა** მიიღო საბჭოთა კავშირში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი ირანის პრემიერ-მინისტრი **ამირ აბას ჰოვეიდა.**

ლ. ი. ბრეჟნევსა და **ამირ აბას ჰოვეიდას** შორის გაიმართა გულახდილი მეგობრული საუბარი, რომლის დროსაც შეეხნენ საბჭოთა კავშირ-ირანის ურთიერთობის საკითხებს, აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო ზოგიერთ საერთაშორისო პრობლემას.

ლ. ი. ბრეჟნევმა და ამირ აბას ჰოვეიდამ გამოთქვეს რწმენა, რომ საბჭოთა კავშირისა და ირანის მეგობრობისა და კეთილმეზობლობის, ურთიერთობის შემდგომი განმტკიცება და განვითარება ხელს შეუწყობს ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებს, საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების საქმეს.

საუბარში მონაწილეობდნენ ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის, პირველი მოადგილე **ამბად მირფენდერესკი** და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის რეფერენტი **ე. მ. სამოტეიკინი.** (საკდესი).

საბჭოთა კავშირ-ირანის მოლაპარაკება

6 აგვისტოს კრემლში დაიწყო მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი და ირანის პრემიერ-მინისტრი ამირ აბას ჰოვეიდა.

მოლაპარაკების დროს, რომელიც ურთიერთგაგებისა და გულახდილობის სულისკვეთებით მიმდინარეობდა, განიხილეს ორი ქვეყნის კეთილმეზობლური ურთიერთობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საკითხები, აგრეთვე ერთმანეთს გაუზიარეს აზრები ორივე მხარისათვის საინტერესო საერთაშორისო პრობლემებზე.

მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ი. ვ. არხიპოვი, საბჭოთა კავშირის ელჩი ირანში ვ. ი. ერმოშინი; ირანის მხრივ — საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე აჰმად მირფენდერესკი, ირანის ელჩი საბჭოთა კავშირში მოჰ�მედ რეზა ამირ თეიმური, საგანგებო დავალებათა ელჩი ფარვიზ რაპი, ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ჰუსად ვაფა. (საკდესი).

ირანის პრემიერ-მინისტრის პატივსაცემად

6 აგვისტოს კრემლის დიდ სასახლეში სსრ კავშირის მთავრობამ სადილი გამართა ირანის პრემიერ-მინისტრის ამირ აბას ჰოვეიდას პატივსაცემად. ირანის პრემიერ-მინისტრთან ერთად სადილზე იყვნენ ის პირნი, რომლებიც მას ახლავან სსრ კავშირში მოგზაურობის დროს.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე პ. ტ. მაზუროვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრები, სხვა ოფიციალური პირნი.

ა. ნ. კოსიგინმა და ამირ აბას ჰოვეიდამ დარბაზობაზე წარმოთქვეს სიტყვები, რომლებიც დამსწრეთ დიდი ყურადღებით მოისმინეს და ტაშით შეხვდნენ.

სადილმა მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

ღრმა საძიმარი

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები ეწვივნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოს

7 აგვისტოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები ეწვივნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოს.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ი. ვ. პოდგორნოვმა, ა. ა. გრომიკომ, ა. პ. პირიოლნინმა, ა. ნ. კოსიგინმა, ო. დ. კულაკოვმა, პ. ტ. მაზუროვმა, დ. ს. პოლიანსკინმა, ვ. ნ. დემიჩევმა, ბ. ნ. პონომარიოვმა, მ. ს. სოლომენცევმა, დ. ო. უსტინოვმა, ვ. ი. დოლგიხმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით ღრმა სამძიმარი გამოთქვეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის, ერთგული მარქსისტ-ლენინელის, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ვალტერ ულბრიხტის გარდაცვალების გამო.

მწუხარე დუმილით კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებმა რამდენიმე წუთს დაჰყვეს სამგლოვიარო დარბაზში დადგმულ ამხანაგ ვალტერ ულბრიხტის პორტრეტთან.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს სამგლოვიარო წიგნში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოს აგრეთვე ეწვივნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები, სამინისტროებისა და უწყებების, სამეცნიერო დაწესებულებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მრავალი წარმომადგენელი, დედაქალაქის საწარმოთა მშრომელები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი. მათ ღრმა სამძიმარი განუცხადეს მეგობრებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან.

დარბაზში, ამხანაგ ვ. ულბრიხტის პორტრეტთან, — ძევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გვირგვინი, აგრეთვე სხვა გვირგვინები.

სამძიმარი ვ. ულბრიხტის გარდაცვალების გამო გამოთქვეს დიპლომატიური კორპუსის წევრებმა. (საკდესი).

სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ბერლინში ჩავიდა

ბერლინი, 6 აგვისტო. (საკდესი). გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ვალტერ ულბრიხტის დაკრძალვაში მონაწილეობის მისაღებად დღეს აქ ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი.

საბჭოთა დელეგაციას შეხვდნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. შტოუში, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. აქსენი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ე. მიუპენბერგერი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელები.

ტოდორ ჟივკოვი სამშობლოში გაემგზავრა

ვოლგოგრადი, 7 აგვისტო. (საკდესი.) დღეს ვოლგოგრადიდან სოფიაში გაემგზავრა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ტოდორ ჟივკოვი.

აეროპორტში ტოდორ ჟივკოვი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, პარტიის ვოლგოგრადის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ლ. ს. კულიჩენკომ, საოლქო აღმასკომის თავმჯდომარემ ი. ი. ლომაკინმა და სხვებმა.

მარსისაკენ!

ბაბა ნაუჩნი, 6 აგვისტო. (საკდესის კორ). 5 აგვისტოს ღამით „ფარს-6“ ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის ფრენას ჩვენს ქვეყანაში უდიდესი ტელესკოპის საშუალებით თვალს ადევნებდნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ყირიმის ასტროფიზიკური ობსერვატორიის მეცნიერები.

მეცნიერებმა ობიექტი აღმოაჩინეს, როცა იგი დედამიწიდან დაშორებული იყო 45 ათასი კილომეტრით.

საუბარი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

7 აგვისტოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **გ. დ. ჯავახიშვილმა** მიიღო კუბის სატყეო მეურნეობის ეროვნული ინსტიტუტის პრეზიდენტი **ხოსე პონსე** და მისი თანმხლები პირნი. მათთან ერთად იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **გ. ი. ვორობიოვი.**

კუბელი მეგობრები ყოველთვის სასიამოვნო სტუმრები არიან, თქვა **გ. დ. ჯავახიშვილმა,** როცა მიესალმა ხოსე პონსესა და მის თანამშრომლებს. ჩვენი ხალხი დიდი გულთბილობით იგონებს საქართველოში ფიდელ კასტროს ტორადოსა და გმირი თავისუფლების კუნძულის სხვა წარმოგზავნილთა ჩამოსვლას.

საუბრის დროს გ. დ. ჯავახიშვილი კუბელ ამხანაგებს ესაუბრა რესპუბლიკის ეკონომიკაზე. კერძოდ სატყეო მეურნეობის განვითარებაზე, ქართველი და კუბელი მეცნიერებისა და სპეციალისტების შეფოქმედებითს ურთიერთობასა და კონტაქტებზე.

ხოსე პონსემ მადლობა გადაიხადა გულთბილი მიღებისათვის, გამოთქვა რწმენა, რომ საქართველოს სატყეო მეურნეობის, ამ დარგში შეძენილი გამოცდილების გაცნობა უაღრესად სასარგებლო და მნიშვნელოვანი იქნება.

საუბრის დასასრულს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ზ. ბ. გელდიაშვილი,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ი. კუჭავა,** რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი **ზ. გ. ახვლედიანი,** საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ვ. ა. ჩოფიკაშვილი.**

* * *

იმავე დღეს კუბის სატყეო მეურნეობის ეროვნული ინსტიტუტის პრეზიდენტი ხოსე პონსე და მასთან ერთად ჩამოსული სპეციალისტები ეწვივნენ საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის ნ. იანქოშვილის ნაწარმოებთა გამოფენას „კუბა და კუბელები“, დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი. (საქინფორმი).

ენგური—ერისწყალი

ვარდნილის ჰიდროელექტროსადგურებზე ჰიდროტურბინები წყლის დებიტის სიმცირის გამო მთელი დატვირთვით ვერ მუშაობენ. ელექტროსადგურებიდ ჩართვიდან დღემდე მათ მრეწველობას მისცეს 55 მილიონი კილოვატ-საათი ელექტრონერგია. მთელი დატვირთვის შემთხვევაში კი იგი ათჯერ და უფრო მეტადაც გაიზრდება.

— ამჟამად ვარდნილჰესების წლიური გამომუშავება შეადგენს 20 მილიონ კილოვატ-საათს, გალის ხელოვნურ ზღვაში მდინარე ენგურის გადაგდების შემდეგ ეს ციფრი 800 მილიონი კილოვატ-საათით გაიზრდება და მთლიანად მოხსნის ელექტროენერგიის იმ დეფიციტს, რომელსაც განიცდის დასავლეთ საქართველოს სამეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, — განაცხადა ჩვენთან საუბარში ენერგურჰესის კასკადის დირექციის მთავარმა ინჟინერმა ექსპლოატაციის დარგში კ. ცინცაძემ.

სწორედ ამიტომ ხორცდელდება ენგურზე დროებითი სქემა (წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიისა და გალის რაიონის სოფელ საბერიოს მიდამოებში) მდინარე ენგურის ერისწყლის კალაპოტში გადმოსაგდებად.

კომპლექსი ნაგებობა, — განაცხადა ძალოვანი კვანძის სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა ი. მაისურაძემ, — შეიცავს სათავეს წყალსაგდები კაშხალით, რომელსაც ექნება ამწე რაბები, მათი დანიშნულებაა ჩაკეტონ და გაატარონ ენგური საჭიროების შემთხვევაში. ენგურს გაატარებს 2 კილომეტრი სიგრძის ღია არხი და მთის გულში 600 მეტრი გვირაბი. მისი გავლის შემდეგ ენგური გადაეშვება მდინარე ერისწყლის ხეობაში და შეუერთდება გალის ხელოვნურ წყალსაცავს.

ეს სამუშაოები დიდიხანია დაიწყო და მათ უშუალოდ აწარმოებს ძალოვანი კვანძის სამმართველო (უფროსი უ. გოჯიაშვილი). გაჰყავთ მისასვლელი გზები, აშენებენ ხიდებს. უკვე გაჩნდნენ პირველი მოსახლეები. სწორფი ტემპით შენდება ფიფური ტიპის სახლები, მუშათა სასადილო უკვე გადაეცა საექსპლოატაციოდ, გაჰყავთ მაღალ. ძაბვის ხაზები. ოთხკუბიანი ექსკავატორები შეუდგნენ ღია არხის, ენგურის სადინებელის, გაყვანას.

ამ სამუშაოებს ასრულებს სპეციალური უბანი, რომელსაც უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი ო. გაბინაშვილი უძღვება.

ჰიდრომშენებელთა გადაწყვეტილებაა 1974 წლისათვის მზად იყოს ყველა სამუშაო, რათა ჰიდროტურბინებმა მთელი სიმძლავრით იმუშაონ.

სამძიმრის ვიზიტი

ბერლინი, 7 აგვისტო. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, ვიზიტით ეწვია და სამძიმარი გამოუცხადა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატას. საბჭოთა დელეგაციის სამძიმარი ამხანაგ ვალტერ ულბრიხტის გარდაცვალების გამო მიიღეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. შტოუშმ და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სახალხო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ჰ. გოტინგმა.

გრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ი. შ. ზედგინიძის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ილია შალვას-ძე ზედგინიძე საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1973 წლის 7 აგვისტო.

გრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ა. ა. დვალიშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. აკაკი არჩილის-ძე დვალიშვილი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1973 წლის 7 აგვისტო.

საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსი

საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ 1973 წლის 28 ივნისს დამტკიცა საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსი, რომელიც სამოქმედოდ შემოღებულ იქნება 1973 წლის 1 ოქტომბრიდან.

„კომუნისტის“ დღევანდელი ნომრის მეორე გვერდზე ვიწყებთ საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის გამოქვეყნებას.

საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსი

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მოსპო ექსპლუატაციისა და ჩაგვრის წყობილება. ექსპლუატატორებისათვის საეუნუქობრივი მონური შრომის შემდეგ მშრომელებმა პირველად მიიღეს შესაძლებლობა იმუშაონ თავიანთთვის, თავიანთი საზოგადოებისათვის.

სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ საბჭოთა კავშირში მთლიანად და სამუდამოდ მოიხსნა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია. სსრ კავშირში, რომლის შემადგენლობაშიც შედის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან ერთად ნებაყოფლობითი გაერთიანებისა და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, შრომის საზოგადოებრივი ორგანიზაციის საფუძველია სოციალისტური საკუთრება, რითაც იწყება მშრომელი ადამიანის უკეთესი ცხოვრებისათვის თავისუფალი შრომის ეპოქა. ექსპლუატაციისაგან შრომის თავისუფლება, რაც გარანტირებულია სოციალისტური წყობილებით, პიროვნების ნამდვილი თავისუფლების ძირითადი პირობაა.

სოციალისტურ საზოგადოებაში, სადაც არ არიან ექსპლუატატორები და ექსპლუატირებულნი, შრომა საყოველთაოა საზოგადოების ყველა შრომისუნარიანი წევრისათვის და ყველა მოქალაქე უზრუნველყოფილია შრომის შესაძლებლობით. სსრ კავშირში მოქმედებს სოციალიზმის პრინციპი: „თვითეულისაგან — მისი უნარის მიხედვით, თვითეულს — მისი შრომის მიხედვით“. შრომა თვითეული შრომისუნარიანი მოქალაქის მოვალეობა და მორალური ვალდებულებაა თანახმად პრინციპისა: ვინც არ მუშაობს, ის არც ჭამს“.

სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილება წარმოქმნის შრომის უკეთესი შედეგით, საზოგადოებრივი წარმოების განუწყვეტლივ განვითარებისა და სრულყოფილ ადამიანთა მატერიალურ და მორალურ დაინტერესებას. სოციალისტური წარმოების ზრდა უზრუნველყოფს საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუხრელი ამაღლების მტკიცე ბაზის. საბჭოთა სახელმწიფო სრულყოფს შრომის მატერიალური და მორალური სტიმულირების ფორმებს და ყოველი ღონისძიებით უწყობს ხელს მშრომელთა მასობრივი სოციალისტური შეჯიბრებისა და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის განვითარებას.

კომუნიზმის აშენების უმნიშვნელოვანესი პირობაა შრომის მაღალი ნაყოფიერების მიღწევა, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება. ამ ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვს მეცნიერულ- ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას მთელ სახალხო მეურნეობაში. მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური მომზადების განუხრელ ზრდას, მათი შრომის ორგანიზებულობისა და დისციპლინიანობის დონის ამაღლებას.

სსრ კავშირში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი შეხამებულია მოსახლეობის მთლიან დასაქმებასთან და ხელს უწყობს შრომის ძირეულ შემსუბუქებას, სამუშაო კვირის შემცირებას. ძმური ფიზიკური და ყოველგვარი არაკვალიფიციური შრომის ლიკვიდაციას მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან ერთად მიმდინარეობს პროცესი ადამიანთა საწარმოო საქმიანობაში გონებრივი და ფიზიკური შრომის თანდათანობითი ორგანული შერწყმისა. უფასო სპეციალური და პროფესიულ-ტექნიკური განათლების განხორციელება ფართო მასშტაბით უზრუნველყოფს სამუშაოსა და პროფესიის თავისუფალ არჩევას საზოგადოების ინტერესთა გათვალისწინებით.

შშრომელთა კანმრთელობის დაცვა, უსაფრთხო შრომის პირობები. პროფესიულ დაავადებათა და საწარმოო ტრავმატიზმის ლიკვიდაცია საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია.

საბჭოთა საზოგადოებაში მშრომელთა დეპუტატების საბჭოებისა და მათ მიერ შექმნილი სახელმწიფო მმართველობის ორგანოების საუნალებით მშრომელები მართავენ საწარმოებს, რომლებიც საყოველთაო-სახალხო (სახელმწიფო) საკუთრებაა. წარმოების მართვაში მუშაობა და ბოსამსახურეთა ჩაბმის საქმეში უდიდეს როლს ასრულებენ პროფესიული კავშირები.

სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად მოქალაქეებს, ეროვნებისა და რასის მიუხედავად. უზრუნველყოფილი აქვთ თანასწორუფლებიანობა შრომაში. სსრ კავშირში ქალს აქვს. მამაკაცთან თანაბარი უფლებები შრომის, შრომის ანაზღაურების, დასვენებისა და სოციალური უზრუნველყოფისა.

მოქალაქეთა შრომითს უფლებებს იცავს კანონი. შრომითი უფლებების დაცვას ახორციელებენ სახელმწიფო ორგანოები, ავრეთვე პროფესიული კავშირები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

თავი I.

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის ამოცანები

საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსი აწესრიგებს ყველა მუშისა და მოსამსახურის შრომითს ურთიერთობას, ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას, საზოგადებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას და ამ საფუძველზე მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის აღმავლობას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას და საზოგადოების საკეთილდღეო შრომის თანდათან გადაქცევას თვითეული შრომისუნარიანი ადამიანის პირველ სასიცოცხლო მოთხოვნილებად.

საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსი აწესებს შრომის პირობების მაღალ დონეს, მუშათა და მოსამსახურეთა შრომითი უფლებების ყოველმხრივ დაცვას.

მუხლი 2. მუშათა და მოსამსახურეთა ძირითადი შრომითი უფლებანი და მოვალეობანი

სსრ კავშირის მოქალაქეთა შრომის უფლება უზრუნველყოფილია სახალხო მეურნეობის სოციალისტური ორგანიზაციით, საბჭოთა საზოგადოების საწარმოო ძალთა განუხრელი ზრდით, სამეურნეო კრიზისის შესაძლებლობის აღკვეთით და უმუშაურობის ლიკვიდაციით.

მუშები და მოსამსახურეები შრომის უფლებას ახორციელებენ საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში მუშაობის შესახებ შრომის ხელშეკრულების დადების გზით.

მუშებსა და მოსამსახურეებს აქვთ უფლება ჭქონდეთ დაწარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად სახელმწიფოს მიერ გარანტირებული ხელფასი, აქვთ დასვენების უფლება სამუშაო დღის და სამუშაო კვირის შემცირებისა და ყოველწლიური ფასიანი შვებულების შესახებ კანონების შესაბამისად, აქვთ უფლება ჯანსაღი და უსაფრთხო შრომის პირობებისა, უფასო პროფესიული მომზადებისა, უფასო კვალიფიკაციის ამაღლებისა, პროფესიულ კავშირებში გაერთიანებისა, წარმოების მართვაში მონაწილეობისა, მოხუცებულობაში, აგრეთვე ავადმყოფობისა და შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის წესით სახელმწიფო სახსრებით მატერიალური უზრუნველყოფისა.

ყველა მუშისა და მოსამსახურის მოვალეობაა დაიცვას შრომის დისციპლინა, გაუფრთხილდეს სახალხო დოვლათს, შეასრულოს შრომის ნორმები, რომლებსაც სახელმწიფო აწესებს პროფესიული კავშირების მონაწილეობით.

მუხლი 3. კოლმეურნეობის წევრთა შრომის მოწესრიგება

კოლმეურნეობის წევრთა შრომას აწესრიგებს კოლმეურნეობის წესდება, რომელიც მიღებულია სანიმუშო წესდების საფუძველზე და მის შესაბამისად, აგრეთვე სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ შრომის კანონმდებლობასთან შედარებით, ან სხვა მხრივ ეწინააღმდეგებიან ამ კანონმდებლობას, — ბათილია.

თავი II.

კოლექტიური ხელშეკრულება

მუხლი 7. კოლექტიური ხელშეკრულების დადება

მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტივის სახელით საწარმოს, ორგანიზაციის ადმინისტრაციასთან კოლექტიურ ხელშეკრულებას დებს პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტი.

კოლექტიური ხელშეკრულების დადებას წინ უნდა უძღოდეს მისი პროექტის განხილვა და მოწონება მუშათა და მოსამსახურეთა კრებებზე (კონფერენციებზე).

კოლექტიური ხელშეკრულება დაიდება ყოველწლიურად წერილობით და რეგისტრაციას არ საჭიროებს.

კოლექტიური ხელშეკრულება უნდა ეცნობოს საწარმოს, ორგანიზაციის ყველა მუშასა და მოსამსახურეს.

მუხლი 8. კოლექტიური ხელშეკრულების შინაარსი

კოლექტიური ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს მოცემული საწარმოსათვის, ორგანიზაციისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილ ძირითად დებულებებს შრომისა და ხელფასის საკითხებზე, აგრეთვე დებულებებს სამუშაო დროის, დასვენების დროის, შრომის ანაზღაურების, მატერიალური სტიმულირების და შრომის დაცვის შესახებ, ორგანიზაციაში იმ პირთა ერთად მუშაობა, რომლებიც ერთმანეთთან ახლო ნათესაურ კავშირში იმყოფებიან (მშობლები, მეუღლეები, ძმები, დები, შვილები, აგრეთვე მეუღლეების ძმები, დები, მშობლები და შვილები), თუ სამსახურებრივად ერთი უშუალოდ ექვემდებარება ან კონტროლს უწევს მეორეს.

ამ წესიდან გამონაკლისი შეიძლება დაწესებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ.

მუხლი 21. შრომის ხელშეკრულების დადებისას წარსადგენი დოკუმენტები

შრომის ხელშეკრულების დადებისას საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია ვალდებულია მშრომელს მოთხოვოს პასპორტი, შრომის წიგნაკი, ხოლო იმ პირთ, რომლებიც პირველად იწყებენ მუშაობას, სახლმმართველობის, სასოფლო ან სადაბო საბჭოს ცნობა ეკონომიკური საქმიანობის შესახებ. სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალების რიგებიდან დათხოვნილ პირებს კი — სამხედრო ბილეთი.

კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში ადმინისტრაციას უფლება აქვს მოსთხოვოს მუშაკს სიბუთები, რომლებიც ადასტურებენ, რომ მას აქვს გარკვეული პროფესია. სპეციალობა (ექიმები, ავტომძღოლებისა და ტრანსპორტის მეფოლადეები და სხვა).

აკრძალულია სამუშაოზე მისაღები პირებისაგან კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების მოთხოვნა.

მუხლი 22. გამოცდა სამუშაოზე მიღებისას

შრომის ხელშეკრულების დადებისას, მხარეთა შეთანხმებით, შესასრულებელი სამუშაოსათვის მუშის ან მოსამსახურის შესაფერისობის შემოწმების მიზნით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მისი გამოცდა. პირობა გამოცდის შესახებ მითითებულ უნდა იქნეს ბრძანებაში (განკარგულებაში) სამუშაოდ მიღების შესახებ.

გამოცდის პერიოდში მუშებსა და მოსამსახურეებზე მთლიანად ვრცელდება შრომის კანონმდებლობა.

გამოცდის გარეშე სამუშაოზე მიიღებიან:

1) პირები. რომლებსაც არ შესრულებიათ 18 წელი;

2) ახალგაზრდა მუშები პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების დამთავრების შემდეგ;

3) ახალგაზრდა სპეციალისტები უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ;

4) სამამულო ომის ინვალიდები. რომლებიც სამუშაოზე გაგზავნილი არიან ჯაშნის ანგარიშში;

5) მუშები და მოსამსახურეები. რომლებიც გადაჰყავთ სხვა სამუშაოზე ან რომლებსაც სამუშაოდ აგზავნიან ტერიტორიალურად სხვა ადგილას;

6) სხვა პირები, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 23. საგამოცდო ვადა სამუშაოზე მიღებისას

საგამოცდო ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს ერთ კვირას — მუშებისათვის, ორ კვირას — მოსამსახურეთათვის, გარდა პასუხისმგებელი მუშაკებისა და ერთ თვეს — პასუხისმგებელი მუშაკებისათვის, თუ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დაწესებული.

სამინისტროებისა და უწყებების სამეცნიერო-კვლევითს, საპროექტო, საპროექტო-საძიებლ-კონსტრუქტორო, ტექნოლოგიურ ორგანიზაციებში, აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო კვლევითის ქვანაყოფიებში სამუშაოზე მიღებისას მუშაკებს, რომლებსაც ეხებათ აკრედიტაცია, სამუშაოზე საბოლოოდ მიღებამდე შეიძლება დაუწესდეთ გამოცდა ვადით სამ თვემდე, ხოლო ცალკეული შემთხვევებში. ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით. რაც შეთანხმებული უნდა იქნეს შესაბამისი პროფესიული კავშირის კომიტეტთან, — ვადით ექვს თვემდე.

საგამოცდო ვადაში არ ითვლება დროებითი შრომისუუნარობის და სხვა საპატიო მიზეზის გამო გაცდენილი დრო.

გამოცდის დრო ჩაითვლება სამუშაო სტაჟში.

მუხლი 24. სამუშაოზე მიღებისას გამოცდის შედეგები

თუ საგამოცდო ვადა დამთავრდა, ხოლო მუშა ან მოსამსახურე აგრძელებს მუშაობას, გამოცდა ჩაბარებულად ითვლება და შრომის ხელშეკრულების შემოწმი გაუქმება დასაშვებია მხოლოდ საერთო საფუძველზე.

თუ გამოცდის შედეგი არადამაკმაყოფილებელია. ადმინისტრაციას უფლება აქვს გააუქმოს შრომის ხელშეკრულება პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეუთანხმებლად და გასასვლელი დახმარების გაცემის გარეშე. მუშას ან მოსამსახურეს უფლება აქვს სამუშაოდან ასეთი განთავისუფლება გაასაჩივროს რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში, ხოლო შესაბამის შემთხვევებში (მუხლი 213-ე) ხელქვეითობის წესით ზემდგომ ორგანში.

მუხლი 25. შრომის ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი სამუშაოს შესრულების მოთხოვნის აკრძალვა

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას უფლება არა აქვს მოსთხოვოს მუშას ან მოსამსახურეს იმ სამუშაოს შესრულება, რომელიც გათვალისწინებული არ არის შრომის ხელშეკრულებით.

მუხლი 26. სხვა სამუშაოზე გადაყვანა

სხვა სამუშაოზე გადაყვანა იმავე საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, აგრეთვე სამუშაოდ გადაყვანა სხვა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში ან ტერიტორიულად სხვა ადგილს, თუნდაც საწარმოსთან, დაწესებულებასთან, ორგანიზაციასთან ერთად, დასაშვებია მხოლოდ მუშის თუ მოსამსახურის თანხმობით, იმ შემთხვევების გარდა, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 27-ე, 28-ე და 135-ე მუხლებით.

სხვა სამუშაოზე გადაყვანად არ ითვლება მუშის თუ მოსამსახურის გადანაცვლება სხვა სამუშაო ადგილზე იმავე საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში სპეციალობის, კვალიფიკაციის, თანამდებობის, ხელფასის ოდენობის, შეღავათების, უპირატესობათა და შრომის სხვა არსებითი პირობების შეუცვლელად.

მუხლი 27. სხვა სამუშაოზე დროებითი გადაყვანა საწარმოო აუცილებლობის გამო

საწარმოო აუცილებლობის შემთხვევებში საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას უფლება აქვს ერთ თვემდე ვადით გადაიყვანოს მუშები და მოსამსახურეები შრომის ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ სამუშაოზე იმავე საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში ან ტერიტორიულად იმავე ადგილს მდებარე სხვა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში. ამ შემთხვევაში შრომა უნდა ანაზღაურდეს შესრულებული სამუშაოს მიხედვით, მაგრამ არანაკლებ წინანდელი საშუალო ხელფასისა.

ამგვარი გადაყვანა დასაშვებია:

სტიქიური უბედურების, საწარმოო ავარიის თავიდან ასაცილებლად თუ ხალიკვიდაციოდ ან მათი შედეგების დაუყოვნებლივ აღმოსაფხვრელად;

უბედური შემთხვევების, მოცდენის, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დაღუპვის ან გაფუჭების თავიდან ასაცილებლად და სხვა განსაკუთრებულ შემთხვევებში.

სამუშაოზე გამოუცხადებელი მუშის თუ მოსამსახურის შეცვლელად.

სამუშაოზე გამოუცხადებელი მუშაკის შესაცვლელად სხვა სამუშაოზე გადაყვანის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ თვეს კალენდარული წლის განმავლობაში.

მუხლი 28. მოცდენის შემთხვევაში სხვა სამუშაოზე დროებით გადაყვანა

მოცდენის შემთხვევაში მუშები და მოსამსახურეები მათი სპეციალობისა და კვალიფიკაციის გათვალისწინებით გადაყვანილ უნდა იქნენ სხვა სამუშაოზე იმავე საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში მოცდენის მთელი დროის მანძილზე ან ტერიტორიულად იმავე ადგილას მდებარე სხვა საწარმოში, დაწესებულებაში ორგანიზაციაში ერთ თვემდე ვადით.

მოცდენის შედეგად დაბალხელფასიან სამუშაოზე გადაყვანილას მუშებსა და მოსამსახურეებს რომლებიც გამომუშავების ნორმებს ასრულებენ, უნარჩუნდებათ საშუალო ხელფასი წინანდელი სამუშაოს მიხედვით, იმ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც ვერ ასრულებენ ნორმებს ან გადაყვანილი არიან დრეტლივი ანაზღაურების სამუშაოზე, უნარჩუნდებათ თავიანთი სატარიფო განაკვეთი (სარგო).

მუხლი 29. არაკვალიფიციურ სამუშაოზე გადაყვანის შეზღუდვა

მოცდენის ან სამუშაოზე არმყოფი მუშაკის დროებით შეცვლისას დაუშვებელია კვალიფიციური მუშებისა და მოსამსახურეების გადაყვანა არაკვალიფიციურ სამუშაოზე.

მუხლი 30. შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები

შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია:

1) მხარეთა შეთანხმება;

2) ვადის გასვლა (მე-18 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები), გარდა იმ შემთხვევებისა. როდესაც შრომითი ურთიერთობა ფაქტიურად გრძელდება და არც ერთი მხარე არ ითხოვს მის შეწყვეტას;

3) მუშის ან მოსამსახურის გაწვევა ან შესვლა სამხედრო სამსახურში;

4) შრომის ხელშეკრულების მოშლა მუშის ან მოსამსახურის ინიციატივით (32-ე და 33-ე მუხლები) ადმინისტრაციის ინიციატივით (მუხლი 34-ე) ან პროფკავშირული ორგანოს მოთხოვნით (მუხლი 39-ე);

5) მუშაკის გადაყვანა მისი თანხმობით სხვა სამუშაოზე ან არჩევით თანამდებობაზე გადასვლა;

6) მუშის ან მოსამსახურის უარი საწარმოსთან, დაწესებულებასთან, ორგანიზაციასთან ერთად ტერიტორიულად სხვა ადგილას სამუშაოდ გადასვლაზე;

7) სასამართლო განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, რომლითაც მუშა ან მოსამსახურე მსჯავრდებულია თავისუფლების აღკვეთით (გარდა პირობითი მსჯავრისა), გამასწორებელი სამუშაოებით არა თავისი მუშაობის ადგილას ან სხვა სასჯელით, რომელიც გამორიცხავს ამ სამუშაოს გაგრძელების შესაძლებლობას.

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის გადაცემა ერთი ორგანოს დაქვემდებარებიდან სხვა ორგანოს დაქვემდებარებაში არ შეწყვეტს შრომის ხელშეკრულების მოქმედებას საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების შერწყმის. გაყოფის ან შეერთებისას შრომითი ურთიერთობები გრძელდება მუშის ან მოსამსახურის თანხმობით. ასეთ შემთხვევებში ადმინისტრაციის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხდება მუშაკთა რაოდენობის ან შტატების შემცირება.

მუხლი 31. ვადიანი შრომის ხელშეკრულების მოქმედების გაგრძელება

თუ შრომის ხელშეკრულების ვადის გასვლის (მე-18 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები) შემდეგ შრომითი ურთიერთობა ფაქტიურად გრძელდება და არც ერთმა მხარემ არ მოითხოვა მისი შეწყვეტა, ხელშეკრულების მოქმედება ითვლება გაგრძელებულად განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 32. განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომის ხელშეკრულების მოშლა მუშის ან მოსამსახურის ინიციატივით

მუშებსა და მოსამსახურეებს უფლება აქვთ მოშალონ განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომის ხელშეკრულება, მაგრამ ამის შესახებ წერილობით უნდა გააფრთხილონ ადმინისტრაცია ორი კვირით ადრე. ამ ვადის გასვლის შემდეგ მუშას თუ მოსამსახურის უფლება აქვს შეწყვიტოს მუშაობა, ხოლო საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია ვალდებულია მისცეს მუშაკს შრომის წიგნაკი და გაუსწოროს მას ანგარიში.

მუშაკისა და ადმინისტრაციის შეთანხმებით შრომის ხელშეკრულება შეიძლება მოიშალოს ორი კვირის ვადის გასვლამდე.

თუ ორი კვირის გასვლის შემდეგ ადმინისტრაციამ არ გამოსცა ბრძანება მუშაკის განთავისუფლების შესახებ. ხოლო იგი განაგრძობს მუშაობას და არ მოითხოვს შრომის ხელშეკრულების მოშლას, გაფრთხილება ძალას კარგავს!

მუხლი 33. ვადიანი შრომის ხელშეკრულების მოშლა მუშის ან მოსამსახურის ინიციატივით

ვადიანი შრომის ხელშეკრულების (მე-18 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები) ვადამდე მოშლა მუშაკის მოთხოვნით ხდება შემდეგ შემთხვევებში:

1) მუშაკის ავადმყოფობის ან ინვალიდობის გამო, რაც ებრკოლების ხელშეკრულების მისდედვით სამუშაოს შესრულებას;

2) ადმინისტრაციის მიერ შრომის კანონმდებლობის, კოლექტიური ან შრომის ხელშეკრულების დარღვევის დროს;

3) სხვა საპატიო მიზეზების გამო.

მუხლი 34. შრომის ხელშეკრულების მოშლა ადმინისტრაციის ინიციატივით

განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომის ხელშეკრულება. აგრეთვე ვადიანი შრომის ხელშეკრულება მისი მოქმედების ვადის გასვლამდე, შეიძლება მოშალოს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციამ მხოლოდ შემდეგი შემთხვევებში:

1) საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ლიკვიდაციის, მუშაკთა რიცხვისა თუ შტატის შემცირების გამო;

2) თუ გამოვლინდება, რომ მუშა ან მოსამსახური არ შეეფერება დაკავებულ თანამდებობას ან შესასრულებელ სამუშაოს არასაკმარისი კვალიფიკაციის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, რომლებიც ხელს უშლიან ამ სამუშაოს შესრულებაში;

3) მუშის ან მოსამსახურის მიერ არასაპატიო მიზეზით შრომის ხელშეკრულებით ან შრომის შინაგანაწესით დაცისრებული ვალდებულებების სისტემატურად შეუსრულებლობის გამო. თუ მუშის ან მოსამსახურის მიმართ ადრე გამოყენებული იყო დისციპლინური ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებანი;

4) არასაპატიო მიზეზით სამუშაოს გაცდენის გამო (მათ შორის სამუშაოზე არადახმიზელ მდგომარეობაში გამოცხადების გამო);

5) სამუშაოზე გამოუცხადებლობისას ზედიზედ ოთხ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში დრეტით შრომის უუნარობის გამო, ორსულობასა და მშობიარობასთან დაკავშირებით მიცემული შვებულების ჩაუთვლელად, თუ სსრ კავშირის კანონმდებლობით არ არის დადგენილი სამუშაო ადგილის (თანამდებობის) შენახვის უფრო ხანგრძლივი ვადა გარკვეული დაავადების დროს. მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებსაც დაკარგეს შრომის უნარი შრომითი დასახიჩრებისა თუ პროფესიული დაავადების გამო, სამუშაო ადგილი (თანამდებობა) ენახებთან შრომის უნარის აღდგენამდე ან ინვალიდობის დადგენამდე;

6) თუ სამუშაოზე აღადგენენ იმ მუშას ან მოსამსახურეს. რომელიც. ადრე ასრულებდა ამ სამუშაოს.

დასმოვნეს ამ მუხლის 1-ლ, მე-2 და მე-6 პუნქტებში აღნიშნული საფუძვლით დასაშვებია, თუ შეუძლებელია მუშაკის გადაყვანა სხვა სამუშაოზე ან მისი თანხმობით.

დაუშვებელია ადმინისტრაციის ინიციატივით მუშაკის დათხოვნა დროებით შრომისუუნარობისა (გარდა მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა) და შვრიზულებაში ყოფნის პერიოდში. ეს წესი არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე. როდესაც ხდება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მთლიანი ლიკვიდაცია.

მუხლი 35. განსაზღვრულ პირობებში ზოგიერთი კატეგორიის მუშებისა და მოსამსახურეების შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის დამატებითი საფუძვლები

ამ კოდექსის 30-ე და 34-ე მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლების გარდა ზოგიერთი კატეგორიის მუშებისა და მოსამსახურეების შრომის ხელშეკრულება, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად, შეიძლება შეწყვეტილ იქნეს შემდეგ შემთხვევებში:

1) იმ მუშაკის მიერ, შრომითი ვალდებულებების ერთჯერადი უხეში დარღვევის გამო, რომელსაც დაკისრებული აქვს დისციპლინური პასუხისმგებლობა ხელქვეითობის წესით;

2) იმ მუშაკის ბრალეული ქმედების გამო, რომელიც უშუალოდ ემსახურება ფულად ან სასაქონლო ფასეულობებს, თუ ეს ქმედობა იძლევა ადმინისტრაციის მხრივ მის მიმართ ნდობის დაკარგვის საფუძველს.

3) იმ მუშაკის მიერ ამორალური ბრალეული ქმედების ჩადენის გამო, რომელიც ადმზრდელობით ფუნქციებს ასრულებს, რაც შეუთავსებელია ამ მუშაობის გაგრძელებასთან;

4) სამეურნეო-შრომითს პროფილაქტორიუმში სასამართლოს დადგენილებით მუშაკის გაგზავნის გამო.

სსრ კავშირის კანონმდებლობით და მის მიერ განსაზღვრულ ფარგლებში საქართველოს სსრ კანონმდებლობით, სამუშაოზე მიღების წესების დარღვევისას და სხვა შემთხვევებში, შეიძლება დაწესდეს ზოგიერთი კატეგორიის მუშებისა და მოსამსახურეების შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის დამატებითი საფუძვლები.

ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში მითითებული საფუძვლით შრომის ხელშეკრულების მოშლა ხდება ამ კოდექსის 37-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით.

მუხლი 36. სამუშაოზე დარჩენის უპირატესი უფლება მუშაკთა რიცხვის ან შტატის შემცირებისას

მუშაკთა რიცხვის ან შტატის შემცირებისას სამუშაოზე დარჩენის უპირატესი უფლება აქვს ეფექტიანი მუშაობა, ხელოვნური ან ტექნიკური ინოვაციებისა და ინიციატივა, ავტორობა, ეკონომიური ეფექტის მიღებაში, ეკონომიური და სხვა საჭირო პირობების შექმნის ინიციატივა, ინვალიდობა, ომი, ომამდელი, ომისშემდგომი, ომის ინვალიდობა, ომის ინვალიდობა, ომის ინვალიდობა

საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსი

(გაგრძელება)

ღამის სამუშაოების ხანგრძლივობა გათანაბრებულია დღის სამუშაოსთან იმ შემთხვევაში, როცა ეს წარმოების პირობების გამოა აუცილებელი, კერძოდ, უწყვეტ წარმოებაში, აგრეთვე ცვლიან სამუშაოზე, სადაც იქვსდღიანი სამუშაო კვირაა, ერთი დასვენების დღით.

ღამის დროდ ითვლება დრო საღამოს 10 საათიდან დილის 6 საათამდე.

მუხლი 48. ღამით მუშაობის შეზღუდვა

ღამით სამუშაოებზე არ დაიშვებიან:

ორსული ქალები, მეძუძური დედები, ქალები, რომლებსაც ჰყავთ შვილები ერთ წლამდე ასაკისა;

მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც დაავადებული არიან ტუბერკულოზის აქტიური ფორმით;

მუშები და მოსამსახურეები, რომლებსაც 18 წელი არ შესრულებიათ;

სხვა კატეგორიის მუშაკები, კანონმდებლობის შესაბამისად.

ინვალიდების დასაქმება ღამის სამუშაოებზე შესაძლებელია მხოლოდ მათი თანხმობით და იმ პირობით, თუ ასეთი სამუშაო სამედიცინო რეკომენდაციით მათ არ ეკრძალებათ.

მუხლი 49. არასრული სამუშაო დრო

მუშებს, მრსამსახურეებსა და ადმინისტრაციას შორის შეთანხმებით როგორც სამუშაოზე მიღებისას ისე შემდეგაც შეიძლება დაწესდეს არასრული სამუშაო დღე ან არასრული სამუშაო კვირა ამ შემთხვევაში შრომის ანაზღაურება ხდება ნამუშევარი დროის პროპორციულად ან გამომუშავების მიხედვით.

მუშაობა არასრული სამუშაო დროის პირობით არ იწვევს მუშებისა და მოსამსახურეების ყოველწლიური შვებულების ხანგრძლივობის, შრომითი სტაჟის გამოთვლისა და სხვა შრომითი უფლებების რაიმე შეზღუდვას.

მუხლი 50. ყოველდღიური მუშაობის დაწყებისა და დამთავრების დრო

ყოველდღიური მუშაობის (ცვლის) დაწყებისა და დამთავრების დრო განისაზღვრება შრომის შინაგანაწესით და ცვლიანობის განრიგით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 51. ცვლიანი მუშაობა

ცვლიანი მუშაობისას მუშაკთა ყოველი ჯგუფი უნდა მუშაობდეს დაწესებული ხანგრძლივობის სამუშაო დროის განმავლობაში.

მუშაკები ერთმანეთს თანაბრად ენაცვლებიან ცვლების მიხედვით. ერთი ცვლიდან მეორეში გადასვლა უნდა ხდებოდეს, როგორც წესი, ყოველი კვირის შემდეგ. ცვლიანობის განრიგით განსაზღვრულ საათებში.

აკრძალულია მუშაკის სამუშაოდ დანიშვნა ზედიზედ ორ ცვლაში.

მუხლი 52. სამუშაო დროის შეკამეული აღრიცხვა

უწყვეტად მოქმედ საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, აგრეთვე ცალკეულ წარმოებებში, საამქროებში, უბნებში, განყოფილებებსა და ზოგიერთი სახის სამუშაოებზე, სადაც წარმოების (მუშაობის) პირობები არ შეიძლება ამ კატეგორიის მუშა-მოსამსახურეებისათვის დადგენილი ყოველდღიური ან ყოველკვირეული სამუშაო დროის ხანგრძლივობის დაცვა, პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით შეიძლება სამუშაო დროის შეკამეული აღრიცხვის შემოღება — პირობით, რომ სამუშაო დროის ხანგრძლივობა აღსარიცხ პერიოდში არ აღემატებოდეს სამუშაო საათების ნორმალურ ოდენობას (43-ე და 44-ე მუხლები).

მუხლი 53. სამუშაო დღის ნაწილებად დაყოფა

იმ სამუშაოებზე, სადაც ეს აუცილებელია შრომის განსაკუთრებული ხასიათის გამო, მუშათა და მოსამსახურეთა ცალკეული კატეგორიისათვის სამუშაო დღე შეიძლება გაყოფილ იქნეს ნაწილებად კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. ამასთან სამუშაო დროის საერთო ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს მოცემული კატეგორიის მუშაკებისათვის დაწესებულ სამუშაო დღის ხანგრძლივობას.

მუხლი 54. ზეგანაკვეთური მუშაობის შეზღუდვა

ზეგანაკვეთური მუშაობა, როგორც წესი, არ არის დაშვებული.

ზეგანაკვეთურად ითვლება სამუშაო, რომელსაც ასრულებენ დაწესებული ხანგრძლივობის სამუშაო დროის დამთავრების შემდეგ (45-ე და 52-ე მუხლები).

ადმინისტრაციას შეუძლია ზეგანაკვეთური მუშაობა გამრავყენოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 55-ე მუხლით. ზეგანაკვეთური სამუშაოები დაიშვება მხოლოდ პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის ნებართვით, ზეგანაკვეთური მუშაობა ფორმდება ბრძანებით (განკარგულებით).

ზეგანაკვეთურ სამუშაოზე არ დაიშვებიან:

ორსული ქალები, მეძუძური დედები, ქალები, რომლებსაც ჰყავთ შვილები ერთ წლამდე ასაკისა;

მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც დაავადებული არიან ტუბერკულოზის აქტიური ფორმით;

მუშები და მოსამსახურეები, რომლთაც 18 წელი არ შესრულებიათ.

მუშაკები, რომლებიც წარმოებიდან მოუწყვეტლად სწავლობენ ზოგადსაგანმანათლებო სკოლებში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლო დაწესებულებებში — მეცადინეობის დღეებში;

სხვა კატეგორიის მუშები და მოსამსახურეები კანონმდებლობის შესაბამისად.

ქალები, რომლთაც ერთი წლიდან რვა წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ, და ინვალიდები შეიძლება ჩაებან ზეგანაკვეთურ სამუშაოში მხოლოდ მათი თანხმობით, ამასთან ინვალიდებს იყენებენ მხოლოდ იმ პირობით, თუ ასეთი სამუშაო სამედიცინო რეკომენდაციით მათ არ ეკრძალებათ.

მუხლი 55. ზეგანაკვეთური მუშაობის გამოყენების გამონაკლისი შემთხვევები

ზეგანაკვეთური მუშაობა დაშვებულია მხოლოდ შემდეგ გამონაკლის შემთხვევებში:

1) ისეთი სამუშაოს წარმოების დროს, რომელიც აუცილებელია ქვეყნის თავდაცვისათვის, აგრეთვე საზოგადოებრივი ან სტიქიური უბედურების, საწარმოო ავარიის თავიდან ასაცილებლად და მათი შედეგების დაუყოვნებელი აღმოფხვრისათვის;

2) საზოგადოებრივად აუცილებელი ისეთი სამუშაოების საწარმოებლად, როგორიცაა წყალმომარაგება, გზით მომარაგება, გათბობა, განათება, კანალიზაცია, ტრანსპორტი, საფოსტო-სატელეგრაფო და სატელეფონო კავშირი, რათა თავიდან იქნეს აცილებული ის შემთხვევითი ან მოულოდნელი გარემოებები, რაც არღვევს მათ ნორმალურ ფუნქციონირებას;

3) როცა აუცილებელია დამთავრებულ იქნეს დაწყებული სამუშაო, რომელიც გაუთვალისწინებელი ან შემთხვევითი შეფერხების მიზეზით ვერ დამთავრდებოდა ნორმალური სამუშაო დროის განმავლობაში წარმოების ტექნიკური პირობების გამო, თუ დაწყებული მუშაობის შეწყვეტას შეუძლია გამოიწვიოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გაფუჭება ან დაღუპვა;

4) მექანიზმების ან ნაგებობების შესაკეთებლად და აღსადგენად დროებითი სამუშაოების წარმოების დროს, იმ შემთხვევებში თუ მათი მოუწესრიგებლობა გამოიწვევს მშრომელთა მნიშვნელოვანი რაოდენობის მუშაობის შეწყვეტას;

5) შემცვლელი მუშაკის გამოუცხადებლობისას მუშაობის გასაგრძელებლად, თუ დაუშვებელია სამუშაოს შეწყვეტა; ასეთ შემთხვევებში ადმინისტრაცია ვალდებულია დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები შემცვლელის სხვა მუშაკით შეცვლისათვის.

6) როდესაც აუცილებელია დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა შესრულება იმ მიზნით, რომ არ იქნეს დაშვებული ან აღკვეთილ იქნეს მოძრავი შემადგენლობის მოცდენა ან ტვირთის დაგრეგვა, გაგზავნის და დანიშნულების პუნქტებში.

მუხლი 56. ზეგანაკვეთური მუშაობის ზღვრული ოდენობა

თვითეული მუშის ან მოსამსახურის ზეგანაკვეთური მუშაობა არ უნდა აღემატებოდეს ოთხ საათს ზედიზედ ორი დღის განმავლობაში, მთელი წლის განმავლობაში კი — 120 საათს.

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია ვალდებულია ზუსტად აღრიცხოს თვითეული მუშაკის მიერ ნამუშევარი ზეგანაკვეთური საათები.

თავი V.

დასვენების დრო

მუხლი 57. შესვენება კვების და დასვენებისათვის

მუშებსა და მოსამსახურეებს კვების და დასვენებისათვის ეძლევათ შესვენება არაუმეტეს ორი საათის ხანგრძლივობისა. შესვენება არ შედის სამუშაო დრომი.

მუშა ან მოსამსახურე შესვენებას იყენებს თავისი ნება-სურვილის მიხედვით. ამ ხნის განმავლობაში მას ეძლევა სამუშაოს შესრულების ადგილიდან წასვლის უფლება.

შესვენება კვების და დასვენებისათვის, როგორც წესი, უნდა მიეცეთ სამუშაოს დაწყებიდან ოთხი საათის შემდეგ.

შესვენების დაწყებისა და დამთავრების დრო განისაზღვრება შრომის შინაგანაწესებით.

იმ სამუშაოებზე, სადაც წარმოების პირობების გამო შესვენების შემოღება არ შეიძლება. მუშას ან მოსამსახურეს უმდა მიეცეს ჭამის შესაძლებლობა სამუშაო დროის განმავლობაში, ასეთი სამუშაოების ნუსხას, საჭმლის მიღების წესსა და ადგილს განსაზღვრავს ადმინისტრაცია პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებ-ოთ

მუხლი 58. დასვენების დღეები

ხუთდღიანი სამუშაო კვირის დროს მუშებსა და მოსამსახურეებს ეძლევათ ორი დასვენების დღე კვირაში, ექვსდღიანი სამუშაო კვირის დროს კი ერთი დასვენების დღე.

საერთო დასვენების დღე არის კვირა.

ხუთდღიანი სამუშაო კვირის დროს მეორე დასვენების დღე, თუ იგი განსაზღვრული არ არის კანონმდებლობით. წესდება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მუშაობის გარიგით. ორივე დასვენების დღეს, როგორც წესი, აძლევენ ერთად.

მუხლი 59. ყოველკვირეული განუწყვეტელი დასვენების ხანგრძლივობა

ყოველკვირეული განუწყვეტელი დასვენების ხანგრძლივობა უნდა იყოს არანაკლებ ორმოცდაორი საათისა.

მუხლი 60. დასვენების დღეები უწყვეტად მოქმედ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში

საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, სადაც საწარმოო-ტექნიკური პირობების ან მოსახლეობის მუდმივი, განუწყვეტელი მომსახურების აუცილებლობის მიზეზით შეუძლებელია მუშაობის შეჩერება, აგრეთვე სხვა საწარმოებში, სადაც შემოღებულია უწყვეტი წარმოება, მუშებისა და მოსამსახურეებს ყოველ ჯგუფს დასვენების დღეები ეძლევათ რიგრიგობით, კვირის სხვადასხვა დღეს, ცვლიანობის განრიგის შესაბამისად. განრიგს ამტკიცებს ადმინისტრაცია პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.

მუხლი 61. დასვენების დღეები მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებულ საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში

იმ საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, სადაც საერთო დასვენების დღეს მუშაობის შეწყვეტა არ შეიძლება მოსახლეობისათვის მომსახურების გაწევის აუცილებლობასთან დაკავშირებით (ბაღაზიები, საყოფაცხოვრები მომსახურების საწარმოები, თეატრები, მუზეუმები და სხვა), დასვენების დღეებს აწესებენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 62. დასვენების დღეებში მუშაობის აკრძალვა. დასვენების დღეებში სამუშაოდ გამოწვევის გამონაკლისი შემთხვევები

დასვენების დღეებში მუშაობა აკრძალულია.

დასვენების დღეს ცალკეული მუშებისა და მოსამსახურეების სამუშაოდ გამოწვევა, როგორც გამონაკლისი, დასაშვებია მხოლოდ პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის ნებართვით და მხოლოდ შემდეგ გამონაკლის შემთხვევებში:

1) საზოგადოებრივი ან სტიქიური უბედურების, საწარმო ავარიის აცილების თუ ლიკვიდაციის დროს ან მათი შედეგების დაუყოვნებლივ აღმოფხვრისათვის;

2) უბედური შემთხვევების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაღუპვის ან გაფუჭების თავიდან აცილების დროს;

3) ისეთი გადაუდებელი, წინასწარ გათვალისწინებელი სამუშაოების შესრულების დროს, რომელთა სწრაფად შესრულებაზე დამოკიდებულია მთლიანად საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ან მათი ცალკეული ქვეგანაყოფების ნორმალური მუშაობა შემდგომში.

დასვენების დღეებში მუშებსა და მოსამსახურეებს სამუშაოდ გამოწვევენ ადმინისტრაციის წერილობითი ბრძანებით (განკარგულებით), ამასთანავე დაცული უნდა იქნეს ამ კოდექსის 153-ე, 157-ე და 171-ე მუხლებით დადგენილი შეზღუდვები.

მუხლი 63. კომპენსაცია დასვენების დღეს მუშაობისათვის

დასვენების დღეს მუშაობისათვის მუშებსა და მოსამსახურეებს ეძლევათ სამაგიერო დასვენების დღე უახლოეს ორ კვირაში.

თუ სამაგიერო დასვენების დღის მიცემა შეუძლებელია (წუნის, მოსამსახურის დათხოვნასთან დაკავშირებით ან კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში), დასვენების დღეს მუშაობა ანაზღაურდება ორმაგი ოდენობით. დასვენების დღეს მუშაობის ანაზღაურება გამოანგარიშებული უნდა იქნეს ამ კოდექსის 87-ე მუხლში გათვალისწინებული წესით.

მუხლი 64. უქმე დღეები

საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები არ მუშაობენ შემდეგ უქმე დღეებში:

1 იანვარს — ახალ წელს,

8 მარტს — ქალთა საერთაშორისო დღეს,

1 და 2 მაისს — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს,

9 მაისს — გამარჯვების დღეს,

7 და 8 ნოემბერს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავზე,

5 დეკემბერს — კონსტიტუციის დღეს.

უქმე დღეებში. დასაშვებია მხოლოდ ისეთი სამუშაოები, რომელთა შეჩერება შეუძლებელია საწარმოო-ტექნიკური პირობები (უწყვეტად მოქმედი საწარმო, დაწესებულება. ორგანიზაცია), სამუშაოები, რომლებიც გამოწვეულია მოსახლეობის მომსახურების აუცილებლობით, აგრეთვე გადაუდებელი სარემონტო და დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები.

მუხლი 65. ყოველწლიური შვებულება

ყველა მუშასა და მოსამსახურეს ეძლევა ყოველწლიური შვებულება სამუშაო ადგილის (თანამდებობის) და საშუალო ხელფასის შენარჩუნებით (67-ე და 69-ე მუხლები).

მუხლი 66. შვებულებაში წასვლის რიგი

შვებულებაში წასვლის რიგს აწესებს ადმინისტრაცია პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.

შვებულებაში წასვლა შეიძლება წლის ყოველ დროს მუშის, მოსამსახურის სურვილისა და საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში მუშაობის ნორმალური მსვლელობის აუცილებელი უზრუნველყოფის გათვალისწინებით.

მუხლი 67. შვებულების ხანგრძლივობა

მუშებსა და მოსამსახურეებს ყოველწლიური შვებულება ეძლევათ არანაკლებ 15 სამუშაო დღის ხანგრძლივობით, შტატ ხანგრძლივობის შვებულებაზე თანდათანობითი გადასვლით. ყოველწლიური შვებულების ხანგრძლივობის გამოანგარიშების წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

თვრამეტ წელზე უფრო ახალგაზრდა მუშებსა და მოსამსახურეებს ყოველწლიური შვებულება ეძლევათ ერთი კალენდარული თვის ხანგრძლივობით.

შვებულება, რომელიც დადგენილი წესით ეძლევათ დროებით მრომისუუნარობის ან ორსულობისა და მშობიარობის გამო, არ შედის ყოველწლიური შვებულების ანგარიშში.

მუხლი 68. ფულადი კომპენსაციით შვებულების შეცვლის აკრძალვა

ფულადი კომპენსაციით შვებულების შეცვლა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამუშაოდან დათხოვნილ მუშას ან მოსამსახურეს შვებულებით არ უსარგებლია.

მუხლი 69. დამატებითი შვებულება

ყოველწლიური დამატებითი შვებულება ეძლევათ:

1). შრომის მავნე პირობებიან სამუშაოზე დასაქმებულ მუშებსა და მოსამსახურეებს;

2) სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში დასაქმებულ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომელთაც აქვთ ერთ საწარმოში, ორგანიზაციაში მუშაობის ხანგრძლივი სტაჟი;

3) მუშაკებს, რომელთაც აქვთ არანორმირებული სამუშაო დღე;

4) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 70. დამატებითი შვებულება, რომელიც წახალისების სახით მიეცემათ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი მოვალეობების შესრულებისათვის

სახელმწიფო ან საზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულებისათვის დამატებითი შვებულება სამუშაო ადგილზე წახალისების სახით შეიძლება მიეცეთ არასრულწლოვანთა საზოგადებრივ აღმზრდელებს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების წევრებს, ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმების წევრებს და სხვ. სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 71. შვებულების მიცემის წესი

მუშაობის პირველ წელს მუშებსა და მოსამსახურეებს შვებულება ეძლევათ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში მათი უწყვეტი მუშაობის თერმეტი თვის გასვლის შემდეგ. თერმეტი თვის უწყვეტი მუშაობის ვადის გასვლამდე მუშაკს თხოვნით შვებულება ეძლევათ ქალებს — ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულებაზე წასვლის წინ ან უშუალოდ მის შემდეგ; თვრამეტ წელზე უფრო ახალგაზრდა მუშებსა და მოსამსახურეებს; სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც დათხოვნილი არიან თადარიგში და ორგანიზებული შვეროვების წესით გაიგზავნენ სამუშაოდ — მუშაობის დაწყებიდან სამი თვის განვლის შემდეგ; კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც გადაყვანილი არიან ერთი საწარმოდან, დაწესებულებიდან, ორგანიზაციიდან მეორე საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, შვებულება შეიძლება მიეცეთ სამუშაოზე გადაყვანიდან თერმეტი თვის განვლამდე. თუ ახალ სამუშაოზე გადაყვანამდე მუშაკს არ შესრულებია ერთ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში მუშაობის თერმეტი თვე, მას შვებულება შეიძლება მისცენ ძველ და ახალ სამუშაოზე მისი მუშაობიდან მთლიანად თერმეტი თვის გასვლის შემდეგ.

მუშაობის მეორე და შემდგომი წლების შვებულება შეიძლება მიეცეს სამუშაო წლის ნებისმიერ დროს, შვებულებაში გასვლის რიგის შესაბამისად.

მუხლი 72. შვებულების ყოველწლიურად მიცემა. შვებულების გადატანის გამონაკლისი შემთხვევები

მუშებსა და მოსამსახურეებს შვებულება უნდა მიეცეთ ყოველ წელს, დადგენილ ვადაში.

ყოველწლიური შვებულება გადატანილი ან გაგრძელებული უნდა იქნეს, მუშის ან მოსამსახურის დროებითი შრომისუუნარობისას; მუშის ან მოსამსახურის მიერ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებისას, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც მუშის ან მოსამსახურისათვის მიმდინარე სამუშაო წელს შვებულების მიცემამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მუშაობის ნორმალურ მსვლელობაზე, დასაშვებია, მუშაკის თანხმობით, პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით, შვებულების გადატანა შემდეგი წლისათვის გადატანილი შვებულება შეიძლება დღემატოს შემდეგი სამუშაო წლის შვებულებას.

აკრძალულია ყოველწლიური შვებულების მიუცემლობა ზედიზედ ორი წლის განმავლობაში, აგრეთვე შვებულების მიუცემლობა თვრამეტ წელზე უფრო ახალგაზრდა მუშისა და მოსამსახურისათვის და იმ მუშაკებისათვის, რომლებსაც შრომის მავნე პირობებთან დაკავშირებით აქვთ დამატებითი შვებულების უფლება.

მუხლი 73. შვებულების უფლებების მოსაპოვებლად საჭირო სტაჟის გამოთვლა

შვებულების უფლების მოსაპოვებლად საჭირო შრომის სტაჟში ჩაითვლება:

1) ფაქტიურად ნამუშევარი დრო;

2) ის დრო, რომლის განმავლობაში მუშა ან მოსამსახურე ფაქტიურად არ მუშაობდა, მაგრამ მას ენახებოდა სამუშაო ადგილი (თანამდებობა) და ხელფასი მთლიანად ან ნაწილობრივ (მათ შორის სამუშაოს იძულებით გაცდენის ანაზღაურებული დრო, თუ მუშაკი სამუშაოდან არაუსწორად იყო დათხოვნილი ან სხვა სამუშაოზე გადაყვანილი, ხოლო შემდეგ აღდგენილი);

3) ის დრო, რომლის განმავლობაში მუშა ამ მოსამსახურე ფაქტიურად არ მუშაობდა, მაგრამ მას ენახებოდა სამუშაო ადგილი (თანამდებობა) და იღებდა დახმარებას სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ხაზით;

4) კანონმდებლობით გათვალისწინებული დროის სხვა პერიოდები.

მუხლი 74. უხელფასო შვებულება

ოჯახური პირობების და სხვა საპატიო მიზეზების გამო ადმინისტრაციას შეუძლია მუშას და მოსამსახურეს მისი განცხადებით მისცეს მოკლევადიანი უხელფასო შვებულება.

თავი VI.

ხელფასი

მუხლი 75. შრომის მიხედვით ანაზღაურება

სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად მუშების და მოსამსახურეების შრომის ანაზღაურება ხდება მისი რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით.

აკრძალულია შრომის ანაზღაურების ოდენობის რაიმე შემცირება სქესის, ასაკის, რასისა და ეროვნული კუთვნილების მიხედვით.

მუხლი 76. ხელფასის მინიმალური ოდენობა

მუშის ან მოსამსახურის თვიური ხელფასი არ შეიძლება იყოს სახელმწიფოს მიერ დაწესებულ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები.

მუხლი 77. ხელფასის ნორმირება

ხელფასის ნორმირებას ახორციელებს სახელმწიფო პროფესიული კავშირების მონაწილეობით.

მუხლი 78. მუშების შრომის ანაზღაურება სტატარიფო განაკვეთების საფუძველზე

მუშების შრომის ანაზღაურება ხდება სატარიფო განაკვეთების (სარგოების) მიხედვით, რომლებიც დამტკიცებულია ცენტრალიზებული წესით.

შესასრულებელი სამუშაოების მიკუთვნებას გარკვეული სატარიფო თანრიგისათვის და მუშებისათვის საკვალიფიკაციო თანრიგის მინიჭებას ახდენს საწარმოს, ორგანიზაციის ადმინისტრაცია პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმების, სტატარიფო-საკვალიფიკაციო ცნობარის შესაბამისად.

მუხლი 79. მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება თანამდებობრივი განაკვეთების სქემების საფუძველზე

მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება ხდება თანამდებობრივი განაკვეთების სქემების საფუძველზე, რომლებიც დამტკიცებულია ცენტრალიზებული წესით.

მოსამსახურეებს თანამდებობრივ განაკვეთებს უწესებს საწარმოს. დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია მუშაკის თანამდებობისა და კვალიფიკაციის შესაბამისად.

მუხლი 80. განსაკუთრებულ პირობებში შრომის ანაზღაურება

მძიმე სამუშაოებზე, შრომის მავნე პირობებიან სამუშაოებზე და სამუშაოებზე ან ადგილებში, სადაც მძიმე კლიმატური პირობებია, დადგენილია შრომის გადიდებული ანაზღაურება.

მუხლი 81. შრომის ანაზღაურების სისტემები

მუშებისა და მოსამსახურეების შრომის ანაზღაურება ხდება დროებლივად ან ნარდობლივად. ნარდობლივი შრომის ანაზღაურება შეიძლება იყოს ინდივიდუალური ან კოლექტიური.

საწარმოო გეგმების შესრულებასა და გადაჭარბებით შესრულებაში, წარმოების ეფექტიანობისა და რენტაბელობის გადიდებაში, შრომის ნაყოფიერების ზრდაში, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და რესურსების მომჭირნეობაში მუშებისა და მოსამსახურეების მატერიალური დაინტერესების გასაძლიერებლად შეიძლება შემოღებულ იქნეს შრომის ანაზღაურების დროებლივ-პრემიალური და ნარდობლივ-პრემიალური სისტემები.

მუშებისა და მოსამსახურეებისათვის შრომის ანაზღაურების დროებლივ ან ნარდობლივ სისტემას ადგენს, აგრეთვე მუშებისა და მოსამსახურეების პრემირების დებულებას ამტკიცებს საწარმოს, ორგანიზაციის ადმინისტრაცია პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.

მუხლი 82. გასამჯელო წლიური მუშაობის შედეგების მიხედვით

შრომის ანაზღაურების სისტემების დამატებით შეიძლება დაწესდეს საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშებისა და მოსამსახურეებისათვის გასამჯელო წლიური მუშაობის შედეგების მიხედვით საწარმოს, ორგანიზაციის მიერ მიღებული მოგების ხარჯზე შექმნილი ფონდიდან.

ამ გასამჯელოს ოდენობა განისაზღვრება მუშის ან მოსამსახურის შრომის შედეგების და საწარმოში მუშაობის მისი განუწყვეტელი სტაჟის ხანგრძლივობის გათვალისწინებით.

დებულება წლიური მუშაობის შედეგების მიხედვით გასამჯელოს გადახდის წესისა მტკიცდება საწარმოს, ორგანიზაციის ადმინისტრაციის მიერ პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო. ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.

მუხლი 83. მუშებისა და მოსამსახურეებისათვის შრომის ანაზღაურების ახალი ან შეცვლილი პირობების შემოღების შეტყობინება

შრომის ანაზღაურების პირობების შეცვლა ან ახალი პირობების შემოღება მუშებისა და მოსამსახურეებს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციამ უმდა აცნობოს არა უგვიანეს ორი კვირისა მათ შემოღებამდე.

მუხლი 84. შრომის ანაზღაურება სხვადასხვა კვალიფიკაციის სამუშაოთა შესრულებისას

სხვადასხვა კვალიფიკაციის სამუშაოთა შესრულებისას დროებლივ მუშათა. აგრეთვე მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება ხდება უფრო მაღალი კვალიფიკაციის სამუშაოს მიხედვით.

მენარდე მუშებს შრომა აუნაზღაურდებათ შესასრულებელი სამუშაოსათვის დაწესებული ფასდების მიხედვით. სახალხო მეურნეობის იმ დარგებში, სადაც წარმოების ხასიათის მიხედვით მენარდე მუშებს ვალდებათ ისეთი სამუშაოს შესრულება, რომლის საგარიფო განაკვეთი მათთვის მიკუთვნებულ თანრიგზე დაბალია, მუშებს, რომლებიც ასრულებენ ასეთ სამუშაოს, უხდიან სათანრიგთშორისო სხვაობას, თუ ეს გათვალისწინებულია კოლექტიური ხელშეკრულებით, ანაზღაურება ხდება მაშინ, თუ მუშა შეასრულებს გამომუშავების ნორმას და თანრიგთა შორის სხვაობა შეადგენს ორ თანრიგს მაინც.

მუხლი 85. შრომის ანაზღაურება პროფესიების შეთავსებისას

მუშებს, რომლებიც ერთსა და იმავე საწარმოში, ორგანიზაციაში სამუშაოს ასრულებენ რამდენიმე პროფესიის (სპეციალობის) მიხედვით, ეძლევათ დანამატი პროფესიის (სპეციალობის) შეთავსებისათვის.

პროფესიების (სპეციალობების) შეთავსებას და შეთავსებისათვის დანამატის ოდენობას იმ ფარგლებში, რომელიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის კანონმდებლობით. აწესებს საწარმოს, ორგანიზაციის ადმინისტრაცია პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.

მუხლი 86. შრომის ანაზღაურება ზეგანაკვეთური მუშაობისას

შრომის დროებლივი ანაზღაურებისას ზეგანაკვეთური მუშაობისათვის შრომის ანაზღაურება ხდება პირველი ორი საათისათვის — ერთნახევარი ოდენობით, მომდევნო საათებისათვის კი — ორმაგად.

შრომის ნარდობლივი ანაზღაურებისას, აგრეთვე სახალხო მეურნეობის იმ დარგებში, სადაც ნარდობლივი და დროებლივი მუშებისათვის დაწესებულია ერთიანი სატარიფო განაკვეთები. ზეგანაკვეთური მუშაობისათვის ეძლევათ დანამატი სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით.

ზეგანაკვეთური მუშაობისათვის დანამატი შრომის ნარდობლივი ანაზღაურებისას, სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად, გაიცემა შესაბამისი თანრიგის დროებლივი მუშის სატარიფო განაკვეთის ორმოცდათი პროცენტის ოდენობით პირველი ორი სათის ზეგანაკვეთური მუშაობისათვის, ხოლო შემდეგი საათებისათვის — ამ სატარიფო განაკვეთის ასი პროცენტის ოდენობით.

ზეგანაკვეთური მუშაობის კომპენსაცია დღემაგიერის მიცემით არ დაიშვება.

მუხლი 87. უქმე დღეებში მუშაობის ანაზღაურება

უქმე დღეებში მუშაობა (64-ე მუხლის მეორე ნაწილი) ორმაგად აუნაზღაურდებათ;

1.) მენარდეებს — ორმაგი სანარდო ფასდებით;

2) მუშაკებს, რომელთა შრომის ანაზღაურება ხდება საათობრივი ან დღიური განაკვეთებით, — საათობრივი ან დღიური განაკვეთების ოდენობით;

3) მუშაკებს, რომლებიც თვიურ ხელფასს იღებენ, — საათობრივი ან დღიური განაკვეთების ერთმაგი ოდენობით, გარდა ხელფასისა, თუ მუშაობა უქმე დღეს წარმოდა სამუშაო დროის თვიური ნორმის ფარგლებში, და საათობრივი ან დღიური განაკვეთის ორმაგი ოდენობით, გარდა ხელფასისა, თუ მუშაობა წარმოდდა თვიური ნორმის ზვევით.

მუშას ან მოსამსახურეს, რომელიც უქმე დღეებში მუშაობდა, შეიძლება მიეცეს მისი სურვილის მიხედვით, სხვა დასვენების დღე.

მუხლი 88. შრომის ანაზღაურება ღამით მუშაობისას

შრომის ანაზღაურება ღამით მუშაობისას (მუხლი 47-ე) ხდება გადიდებული ოდენობით, სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 89. შრომის ანაზღაურება გამომუშავების ნორმათა შეუსრულებლობისას, წუნდებული პროდუქციის გამოშვებისას და მოცდენისას რაც გამოწვეული არ იყო მუშის ან მოსამსახურის ბრალით

გამომუშავების ნორმათა შეუსრულებლობისას, წუნდებული პროდუქციის გამოშვებისას და მოცდენისას, რომელიც მუშის თუ მოსამსახურის ბრალით არ იყო გამოწვეული, შრომის ანაზღაურება ხდება სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით.

მუხლი 90. მოცდენის დროის ანაზღაურის ოდენობა

სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად მუშებსა და მოსამსახურეებს მოცდენის დროს, რაც მათი ბრალით არ არის გამოწვეული, ხელფასი ეძლევათ შესაბამისი კვალიფიკაციის მუშაკთა დროებლივი შრომის ანაზღაურების საკარიფო განაკვეთის ნახევრის ოდენობით. მიტალურგიული, სამთამადნო და კოქსის მრეწველობის მუშაკებს მოცდენის დროს, რაც მათი ბრალით არ არის გამოწვეული, ხელფასი ეძლევათ სატარიფო განაკვეთის ორი მესამედის ოდენობით. ასეთ შემთხვევებში ხელფასი არ შეიძლება იქნეს დაწესებულ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები (მუხლი 76-ე)

ახალი წარმოების ათვისების პერიოდის (დაზგების, მანქანების, ძრავების, ტურბინების, ტრანსფორმატორების დეტალების დამუშავებისა და ა. შ.) მოცდენისას, თუ

საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსი

(დაბრძელება).

მუხლი 105. ფასდების განსაზღვრა შრომის ნარდობლივი ანაზღაურების დროს

შრომის ნარდობლივი ანაზღაურების დროს ფასდება განისაზღვრება დადგენილ სამუშაოთა თანრიგის, სატარიფო განაკვეთის (სარგოს) და გამომუშავების ნორმების (დროის ნორმების) მიხედვით.

სანარდო ფასდება განისაზღვრება შესასრულებელი სამუშაოს თანრიგის შესაბამისი საათობრივი (დღიური) სატარიფო განაკვეთის გაყოფით გამომუშავების საათობრივ (დღიურ) ნორმაზე. სანარდო ფასდება შეიძლება განსაზღვრულ იქნეს აგრეთვე შესასრულებელი სამუშაოს თანრიგის შესაბამისი საათობრივი ან დღიური სატარიფო განაკვეთის გამრავლებით დროის დაწესებულ საათობრივ ან დღიურ ნორმაზე.

მუხლი 106. გამომგონებელი და რაციონალიზატორი მუშებისა და მოსამსახურეებისათვის წინანდელ ფასდებათა განსაზღვრული ვადით შენარჩუნება

მუშებსა და მოსამსახურეებს, რომელთა გამოგონება ან რაციონალიზატორული წინადადება ცვლის ტექნიკურ ნორმებსა და ფასდადებებს გამომუშავების ადრე მოქმედი ფასდებანი უნარჩუნდებათ ექვსი თვის განმავლობაში ახალი ნორმების და ფასდებების შემოღების დღიდან. სხვა მუშაკებს, რომლებმაც გამომგონებლებს ან რაციონალიზატორებს დასმარება აღმოუჩინეს წინადადების დანერგვაში, წინანდელი ფასდებები უნარჩუნდებათ სამი თვის განმავლობაში.

წინანდელი ფასდებები რჩება იმ შემთხვევებშიც, როცა გამომგონებელი ან რაციონალიზატორი ადრე არ ასრულებდა იმ სამუშაოს, რომლის ნორმები და ფასდებები შეიცვალა მისი წინადადების დანერგვასთან დაკავშირებით, და ამ სამუშაოზე გადმოყვანილია წინადადების შეტანის შემდეგ.

მუხლი 107. მომსახურების ნორმებისა და ნორმირებული საწარმოო დავალებების დაწესება

შრომის დროებითი ანაზღაურებისას მუშებსა და მოსამსახურეებს უწესდებათ მათზე მიმაგრებული დაზგების, აგრეგატების მომსახურების ნორმები ან ნორმირებული საწარმოო დავალებები გარკვეული პერიოდისათვის. ცალკეული ფუნქციების ან სამუშაოს მოცულობის შესასრულებლად შეიძლება დაწესდეს მუშათა და მოსამსახურეთა რაოდენობის ნორმატივები.

მუხლი 108. გამომუშავების ნორმების (დროის ნორმების), მომსახურების ნორმების დადგენისა და გადასინჯვის დროს წარმოშობილი უთანხმოების გადაწყვეტის წესი

გამომუშავების ნორმების (დროის ნორმების), მომსახურების ნორმების დადგენის ან გადასინჯვის დროს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციასა და პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტს შორის წარმოშობილ უთანხმოებას გადაწყვეტენ ზემდგომი სამეურნეო და პროფკავშირული ორგანოები.

თავი VIII.

გარანტია და კომპენსაცია

მუხლი 109. გარანტია არჩევითს თანამდებობაზე არჩეული მუშებისა და მოსამსახურეებისათვის

მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც სამუშაოდან განთავისუფლდნენ იმის გამო, რომ არჩეული არიან სახელმწიფო ორგანოებში, აგრეთვე პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, არჩევითს თანამდებობაზე რწმუნებულების ვადის დამთავრების შემდეგ ეძლევათ წინანდელი სამუშაო (თანამდებობა), ხოლო თუ ასეთი არ არის, სხვა ტოლფასოვანი სამუშაო (თანამდებობა) ამავე ან, მუშაკის თანხმობით, სხვა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში.

მუხლი 110. გარანტია მუშებისა და მოსამსახურეებისათვის სახელმწიფო ან საზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულების დროს

სახელმწიფო ან საზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულების დროის განმავლობაში, თუ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობით ეს მოვალეობანი შეიძლება განხორციელდეს სამუშაო დროს, მუშებისა და მოსამსახურეებისათვის გარანტირებულია სამუშაო ადგილისა (თანამდებობის) და საშუალო ხელფასის შენარჩუნება.

მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც გაწვეული არიან სსრ კავშირის საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონით გათვალისწინებული მოვალეობანი შესასრულებლად, ეძლევათ გარანტია და შეღავათი ამ კანონის შესაბამისად.

მუშას ან მოსამსახურეს საშუალო ხელფასი შეუნარჩუნდება, თუ იგი სამუშაო დროის განმავლობაში ასრულებს შემდეგ სახელმწიფოებრივ ან საზოგადოებრივ მოვალეობას.

1) ახორციელებს საარჩევნო უფლებას;

2) არის დეპუტატი და მონაწილეობს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს სესიის მუშაობაში ან, კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, ასრულებს სხვა სადეპუტატო მოვალეობას;

3) მონაწილეობს სახელმწიფო, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყრილობების, პლენუმების ან კონფერენციების მუშაობაში, როგორც დელეგატი;

4) გამოწვევით გამოცხადდება მოკვლევის, წინასწარი გამძიების, პროკურატურის ან სასამართლო ორგანოებში როგორც მოწმე, დაზარალებული ექსპერტი, სპეციალისტი, მთარგმნელი, დამსწრე, ან მონაწილეობს სასამართლო სხდომაზე, როგორც სახალხო მსაჯული, საზოგადოებრივი ბრალმდებელი, საზოგადოებრივი დამცველი, საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და მშრომელთა კოლექტივების წარმომადგენელი;

5) ასრულებს სახალხო კონტროლის ორგანოების დავალებებს — ამ ორგანოების დებულების შესაბამისად;

6) მონაწილეობს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული პენსიების დამნიშნველი კომისიის ან საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის მუშაობაში, როგორც მისი წევრი;

7) გამოწვევით გამოცხადდება, როგორც მოწმე, პენსიის დამნიშნველ კომისიაში შრომითი სტაჟის შესახებ ჩვენების მისაცემად;

8) მონაწილეობს ხანძრის ან ავარიის ლიკვიდაციაში, როგორც ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმის წევრი.

9) ასრულებს სხვა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ მოვალეობებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 111. გარანტია იმ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, რომლებიც იგზავნებიან კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

იმ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც წარმოებისაგან მოწყვეტით იგზავნებიან კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ენახებათ სამუშაო ადგილი (თანამდებობა) და ეძლევათ კანონით გათვალისწინებული თანხა.

მუხლი 112. გარანტია გამომგონებელ და რაციონალიზატორ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის

მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც გამოგონების, რაციონალიზატორული წინადადების ავტორები არიან, იმავე საწარმოში, ორგანიზაციაში გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების დანერგვამი მონაწილეობისათვის ძირითად სამუშაოდან განთავისუფლებისას უნარჩუნდებათ საშუალო ხელფასი.

სხვა საწარმოში, ორგანიზაციაში თავისი გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების დანერგვაში მონაწილეობისათვის მუშებსა და მოსამსახურეებს მუდმივ სამუშაო ადგილზე ენახებათ თანამდებობა, ხოლო გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების დანერგვისათვის გაწეული შრომის ანაზღაურება ხდება მხარეთა შეთანხმებით, მაგრამ მუდმივი სამუშაო ადგილის საშუალო ხელფასზე არანაკლები ოდენობით.

მუხლი 113. სამედიცინო დაწესებულებაში გამოსაკვლევად გაგზავნილი მუშებისა და მოსამსახურეებისათვის საშუალო ხელფასის შენარჩუნება

სამედიცინო დაწესებულებაში გამოსაკვლევად ყოფნისას მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც მოვალენი არიან გაიარონ ასეთი გამოკვლევა, სამუშაო ადგილზე უნარჩუნდებათ საშუალო ხელფასი.

მუხლი 114. გარანტია იმ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, რომლებიც დონორები არიან

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია მოვალეა დაუბრკოლებლად გაუშვას მუშები და მოსამსახურეები ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში სამედიცინო გამოკვლევის დღეს, სისხლის მიცემის დღეს და შეუნარჩუნოს მათ სამუშაო ხელფასი ამ დღეებისათვის.

მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც არიან დონორები, ადასტურებისათვის სისხლის მიცემის ყოველი დღის შემდეგ უშუალოდ ეძლევათ დასვენების დღე სამუშაო ხელფასის შენარჩუნებით. მუშაკის სურვილისამებრ ეს დღე შეიძლება მიეშაგოს ყოველწლიურ შვებულებას.

მუხლი 115. გარანტია და კომპენსაცია მივლინების დროს

მივლინებაში მყოფ მუშაკებს მივლინებაში ყოფნის მთელი დროის განმავლობაში ენახებათ სამუშაო ადგილი (თანამდებობა) და საშუალო ხელფასი.

მუშებსა და მოსამსახურეებს უფლება აქვთ აინაზღაურონ მიღლინებასთან დაკავშირებული ხარჯები და მიიღონ მივლინებასთან დაკავშირებული სხვა კომპენსაცია სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით და წესით.

მუშებს, რომლებსაც გზავნიან სამსახურებრივ მივლინებაში, აუნაზღაურდებათ სადღეიმისო ხარჯები. მივლინებაში ყოფნის მთელი დროისათვის, მგზავრობის ხარჯები და ბინის ქირა.

მუხლი 116. გარანტია და კომპენსაცია სხვა ადგილზე სამუშაოდ წახვლის დროს

მუშებსა და მოსამსახურეებს უფლება აქვთ აინაზღაურონ ხარჯი და მიიღონ კომპენსაცია ტერიტორიულად სხვა ადგილას სამუშაოდ ვადაყვანასთან, მიღებასთან ან გაგზავნასთან დაკავშირებით.

მუშაკებს, რომლებიც გადაყვანილი არიან ტერიტორიულად სხვა ადგილას სამუშაოდ (გარდა პირადი თხოვნით გადაყვანისა), ეძლევათ თავისი და ოჯახის წევრების მგზავრობის ღირებულება; ქონების გადაზიდვის ღირებულება, სადღეიმისო ხარჯები გზაში ყოფნის პერიოდში; ხელფასი გზაში ყოფნის პერიოდში და დამატებით კიდევ ექვსი დღისა (სანგზავრო მომზადებისა და ახალ ადგილზე მოწყობისათვის); ერთდროული დახმარება მუშაკსა და მისი ოჯახის თვითეულ წევრზე, რომლებიც მასთან ერთად გადადიან.

მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც სხვა სამუშაოზე გადადიან პირადი თხოვნით, აღნიშნული კომპენსაცია შეიძლება მიეცეთ მთლიანად ან ნაწილობრივ, მხარეთა შეთანხმების შესაბამისად.

მუშაკებს, რომლებიც ტერიტორიულად სხვა ადგილას სამუშაოზე მიღებასთან დაკავშირებით მიემგზავრებიან, აუნაზღაურდებათ: თავისი და ოჯახის წევრების მგზავრობის ღირებულება; ქონების გადაზიდვის ღირებულება; სადღეიმისო ხარჯები გზაში ყოფნის დროისათვის. ერთდროული დახმარება თვით მუშაკსა და მისი ოჯახის წევრებს, აგრეთვე, ხელფასი იმ დროისათვის, ვიდრე მუშაობას დაიწყებდეს, შეიძლება მიეცეთ (მთლიანად ან ნაწილობრივ) ადმინისტრაციასთან მუშაკის შეთანხმების შესაბამისად.

ზემოაღნიშნული მუშაკებისათვის კომპენსაციის მიცემის ოდენობასა და წესს, აგრეთვე კომპენსაციას ორგანიზებული შეგროვების წესით სამუშაოზე მიღებული მუშებს ტერიტორიულად სხვა ადგილს გადასვლისას, სსრ საკავშირო სამინისტროს დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა მუშებისა და სპეციალისტების სამუშაოდ გაგზავნისას, ადგენს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

მუხლი 117. კომპენსაცია მუშებისა და მოსამსახურეების კუთვნილი ინსტრუმენტების გაცვეთისათვის

მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის საჭიროებისათვის იყენებენ თავიანთ კუთვნილ ინსტრუმენტებს, უფლება აქვთ მიიღონ კომპენსაცია ინსტრუმენტების გაცვეთისათვის (ამორტიზაციისათვის).

ამ კომპენსაციის ოდენობასა და გადახდის წესს განსაზღვრავს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია პროფკავშირ კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით. თუ კომპენსაციის ოდენობა და გადახდის წესი ცენტრალიზებული გზით არ არის დადგენილი.

თავი IX.

გარანტია საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანის გამო მუშებისა და მოსამსახურეებისათვის მატერიალური პასუხისმგებლობის დაკისრებისას

მუხლი 118. საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანის გამო მუშებისა და მოსამსახურეების მატერიალური პასუხისმგებლობის შეზღუდვა

შრომითი მოვალეობის შესრულებისას საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანის გამო მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრება მუშას ან მოსამსახურეს იმ პირობით, თუ ზიანი გამოწვეული იყო მისი ბრალით. ეს პასუხისმგებლობა, როგორც წესი, განისაზღვრება მუშის ან მოსამსახურის ხელფასის გარკვეული ნაწილით (მუხლები 119-ე და 120-ე).

ზიანის ოდენობის განსაზღვრისას ითვალისწინებენ მხოლოდ პირდაპირ ნამდვილ ზიანს; და არა იმ შესაძლო შემოსავალს, რაც ვერ მიიღეს მიყენებული ზიანის შედეგად.

დაუშვებელია მუშას ან მოსამსახურეს დაეკისროს პასუხისმგებლობა იმ ზიანისათვის, რომელიც შეიძლება მიეკუთვნოს ნორმალური საწარმოო-სამეურნეო რისკის კატეგორიას.

მუხლი 119. გარანტია საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანის გამო მუშებისა და მოსამსახურეებისათვის მატერიალური პასუხისმგებლობის დაკისრებისას

შრომითი მოვალეობების შესრულებისას საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანის გამო მუშებსა და მოსამსახურეებს, რომელთა ბრალით გამოწვეულია ზიანი, ეკისრებათ მატერიალური პასუხისმგებლობა პირდაპირ ნამდვილი ზიანის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს მათი თვიური სატარიფო განაკვეთის, (სარგოს) ერთი მესამედისა.

მატერიალური პასუხისმგებლობა თვიური სატარიფო განაკვეთის (სარგოს) ერთ მესამედზე მეტი ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს მიყენებული ზიანის სრული ოდენობისა, დასაშვებია მხოლოდ სსრ კავშირის კანონმდებლობით მითითებულ შემთხვევებში.

მუხლი 120. მუშათა და მოსამსახურეთა შეზღუდული მატერიალური პასუხისმგებლობის შემთხვევები

შეზღუდული მატერიალური პასუხისმგებლობა თვიური სატარიფო განაკვეთის (სარგოს) ერთ მესამედზე მეტი ოდენობით, სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად, ეკისრებათ:

1) მუშებსა და მოსამსახურეებს მასალების, ნახევარფაბრიკატების ან ნაწარმის დაუდგენრობით გაფუჭებისათვის — მიყენებული ზიანის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს ერთი თვის საშუალო ხელფასის ორი მესამედისა;

2) ადმინისტრაციულ-ტექნიკურ და ადმინისტრაციულ-სამეურნეო პერსონალს მასალების, ნახევარფაბრიკატების, ნაწარმის ან მუშაკისათვის სარგებლობაში მიცემული საკნების (სპეციტანსაცმელი, ინსტრუმენტები, საზომი ხელსაწყოები და ა. შ.) აღრიცხვისა და დაცვის საქმის უსწოროდ დაყენების, აგრეთვე ამ ქონების გაფლანგვის, განადგურების ან დაზიანების წინააღმდეგ აუცილებელი ზომების მიუღებლობისათვის — მიყენებული ზიანის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს საშუალო თვიური ხელფასისა.

3) თანამდებობის პირთ, რომელთაც ბრალი მიუძღვით მუშაკთა უკანონოდ დათხოვნაში ან სხვა სამუშაოზე გადაყვანაში, იმ შემთხვევაში და იმ ოდენობით, რაც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 209-ე მუხლით.

მუხლი 121. მუშათა და მოსამსახურეთა სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შემთხვევები

სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად მუშებსა და მოსამსახურეებს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანის გამო მატერიალური პასუხისმგებლობა სრული ოდენობით ეკისრებათ შემდეგ შემთხვევებში:

1) როდესაც ზიანი მიყენებულია მუშაკის მოქმედებით, რომელიც შეიცავს ისეთი ქმედების ნიშნებს, რაც ისჯება სისხლის სამართლის წესით.

2) როდესაც სპეციალური კანონებით და დადგენილებებით მუშაკს დაკისრებული აქვს სრული მატერიალური პასუხისმგებლობა შრომითი მოვალეობების შესრულებისას საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანის გამო.

3) როდესაც საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციასა და იმ მუშაკს შორის, რომლის თანამდებობა დაკავშირებულია ფულად ან სასაქონლო ფასეულობის ნომსახურებასთან და მითითებულია შესაბამის ნუსხაში, დადებულია განსაკუთრებული წერილობითი ხელშეკრულება იმის შესახებ, რომ მუშაკს ეკისრება სრული მატერიალური ანგარიშვალდებულება მისთვის შესანახად ან სხვა მიზნით გადაეცემული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის დანაკლისის გამო, გათვალისწინებული ნორმის ზევით.

4) როდესაც ზიანი მიყენებული არაა შრომითი მოვალეობების შესრულების დროს.

მუხლი 122. საწარმოსთვის, დაწესებულებისთვის, ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესი

ზიანის ანაზღაურება იმ ოდენობით, რასაც ითვალისწინებს ამ კოდექსის 119-ე მუხლის პირველი ნაწილი, ხდება მუშაკის წერილობითი თანხმობით, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის განკარგულების საფუძველზე, ხელფასიდან დაქვითვის საშუალებით. განკარგულება დაქვითვის შესახებ ადმინისტრაციას შეუძლია გასცეს არა უგვიანეს ორი კვირისა იმ დღიდან, როდესაც გამოვლინდა მუშაკის მიერ მიყენებული ზიანი. თუ არ არის მუშაკის წერილობითი თანხმობა, დაქვითვა არ ხდება და საკითხს ზიანის ანაზღაურების შესახებ, ადმინისტრაციის განსახილველად, განიხილავს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლო.

დანარჩენ შემთხვევებში ზიანის ანაზღაურება ხდება ადმინისტრაციის მიერ რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სარჩელის წარდგენის საშუალებით.

თუ დადგენილი წესის დარღვევით ადმინისტრაციამ მუშას ან მოსამსახურეს ხელფასიდან დაუქვითა თანხა მისი წერილობითი თანხმობისა და სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, მაშინ შრომითი დავის განმხილველი ორგანო მუშაკის სარჩელის შეიტანის გადაწყვეტილებას უკანონოდ დაქვითული თანხის დაბრუნების შესახებ.

მუხლი 123. უპირატესობანი და შეღავათები იმ მუშებსა დ მოსამსახურეებს, რომლებიც წარმატებით და კეთილსინდისიერად ასრულებენ შრომითს მოვალეობებს

მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც წარმატებით და კეთილსინდისიერად ასრულებენ თავიანთ შრომითს მოვალეობებს, პირველ რიგში ეძლევათ უპირატესობანი და შეღავათები სოციალურ-კულტურული და საბინაო-საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში (სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურები, საბინაო პირობების გაუმჯობესება და სხვ.) ასეთ მუშაკებს ეძლევათ აგრეთვე უპირატესობა სამუშაოზე დაწინაურების დროს.

მუხლი 124. ნახალისება განსაკუთრებული შრომითი დამსახურებისათვის

მუშებსა და მოსამსახურეებს განსაკუთრებული შრომითი დამსახურებისათვის წარადგენენ ზემდგომ ორგანოებში წახალისებლად, ორდენებით, მედლებით, სპატიო სიგელებით, საპატიო ნიშნებით დასაჯილდოებლად და საპატიო წოდებებისა და მოკვეთილი პროფესიის საუკეთესო მუშაკის წოდების მისანიჭებლად.

მუხლი 125. სასჯელი შრომის დისციპლინის დარღვევისათვის

შრომის დისციპლინის დარღვევისათვის საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია იყენებს შემდეგ დისციპლინურ სასჯელებს:

1) შენიშვნას;
2) საყვედურს;
3) სასტიკ საყვედურს;
4) დაბალხელფასიან სამუშაოზე გადაყვანას სამ თვემდე ვადით ან დაბალ თანამდებობაზე ჩამოყენებას იმავე ვადით;
5) დათხოვნას (34-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები).

დისციპლინური პასუხისმგებლობის კანონმდებლობითა და წესდებით დისციპლინის შესახებ, ცალკეული კატეგორიების მუშებისა და მოსამსახურეებისათვის შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს აგრეთვე სხვა დისციპლინური სასჯელიც.

დისციპლინური სასჯელის დადებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ნადანაული გადაცდომის სიმძიმე, მისი ჩადენის გარემოებები, მუშის ან მოსამსახურის წინანდელი მუშაობა და ყოფაქცევა.

მუხლი 126. დისციპლინურ სასჯელთა გამოყენებისა და გასაჩივრების წესი

დისციპლინური სასჯელის დადებამდე შრომის დისციპლინის დამრღვევს უნდა მოეთხოვოს ახსნა-განმარტება.

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას დისციპლინურ სასჯელს იყენებს გადაცდომის გამოვლენისთანავე, მაგრამ არა უგვიანეს ერთი თვისა მისი გამოვლენის დღიდან, მუშაკის ავადმყოფობის ან შვებულებაში ყოფნის დროის ჩაუთვლელად.

დისციპლინური სასჯელი არ შეიძლება დადებულ იქნეს გადაცდომის ჩადენის დღიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ.

შრომის დისციპლინის ყოველი დარღვევისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ერთი დისციპლინური სასჯელი.

დისციპლინური სასჯელი შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს დადგენილი წესით.

მუხლი 127. დისციპლინური სასჯელის მოხსნა

თუ დისციპლინური სასჯელის დადების დღიდან ერთი წლის განმავლობაში მუშას ან მოსამსახურეს არ დაედება ახალი დისციპლინური სასჯელი, იგი ჩითვლება ისეთ პირად, რომელსაც დისციპლინური სასჯელი არ ჰქონია დადებული.

თუ მუშას ან მოსამსახურეს ხელახლა არ დაურღვევია შრომის დისციპლინა და, ამასთან, თავი გამოიჩინა როგორც კარგმა და კეთილსინდისიერმა მუშაკმა, მას შეიძლება მოეხსნას დისციპლინური სასჯელი ერთი წლის გასვლამდე.

მუხლი 128. შრომის დისციპლინის უზრუნველყოფა

საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შრომის დისციპლინას უზრუნველყოფს შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულება, დარწმუნების მეთოდი, აგრეთვე წახალისება კეთილსინდისიერი შრომისათვის. ცალკეულ არაკეთილსინდისიერი მუშაკების მიმართ საჭირო შემთხვევებში იყენებენ დისციპლინური და საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებებს.

მუხლი 129. ადმინისტრაციის მოვალეობანი

საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ადმინისტრაცია ვალდებულია სწორად მოაწყოს მუშათა და მოსამსახურეთა შრომა, შექმნას შრომის ნაყოფიერების ზრდის პირობები, უზრუნველყოს შრომისა და საწარმოო დისციპლინა, განუხრელად დაიცვას შრომის კანონმდებლობა და შრომის დაცვის წესები, ყურადღებით მოეკიდოს მუშაკთა საჭიროებებსა და მითხოვნილებებს, გააუმჯობესოს მათი შრომისა და ყოფაცხოვრების პირობები.

მუხლი 130. შრომის შინაგანაწესი. წესდებების დისციპლინის შესახებ

საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შრომის განაწესს განსაზღვრავს შრომის შინაგანაწესი, რომელსაც ადგენს ადმინისტრაცია პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით, დადგენილი წესით დამტკიცებული ტიპობრივი შინაგანაწესის საფუძველზე.

სახალხო მეურნეობის ზოგიერთ დარგში ცალკეული კატეგორიის მუშებისა და მოსამსახურეებისათვის მოქმედებს წესდებები დისციპლინის შესახებ.

მუხლი 131. წახალისება მუშაობაში მოპოვებული წარმატებისათვის

შრომითი მოვალეობების სანიმუშოდ შესრულების, სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებების, შრომის ნაყოფიერების გაზიდების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ხანგრძლივი და უნაკლო მუშაობის, შრომაში ნოვატორობისა და მუშაობაში მოპოვებული სხვა მიღწევებისათვის იყენებენ წახალისების შემდეგ სახეობებს:

1) მადლობის გამოცხადება;
2) პრემიის მიცემა;
3) ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოება;
4) საპატიო სიგელით დაჯილდოება;
5) საპატიო წიგნში. საპატიო დაფაზე შეტანა.

შრომის შინაგანაწესით და წესდებებით დისციპლინის შესახებ წესდებებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სხვა წახალისებანიც.

მუხლი 132. წახალისების გამოყენების წესი

წახალისებას ადმინისტრაცია იყენებს პროფკავშირული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან ერთად ან მასთან შეთანხმებით.

მუხლი 133. უპირატესობანი და შეღავათები იმ მუშებსა დ მოსამსახურეებს, რომლებიც წარმატებით და კეთილსინდისიერად ასრულებენ შრომითს მოვალეობებს

მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც წარმატებით და კეთილსინდისიერად ასრულებენ თავიანთ შრომითს მოვალეობებს, პირველ რიგში ეძლევათ უპირატესობანი და შეღავათები სოციალურ-კულტურული და საბინაო-საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში (სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურები, საბინაო პირობების გაუმჯობესება და სხვ.) ასეთ მუშაკებს ეძლევათ აგრეთვე უპირატესობა სამუშაოზე დაწინაურების დროს.

მუხლი 134. ნახალისება განსაკუთრებული შრომითი დამსახურებისათვის

მუშებსა და მოსამსახურეებს განსაკუთრებული შრომითი დამსახურებისათვის წარადგენენ ზემდგომ ორგანოებში წახალისებლად, ორდენებით, მედლებით, სპატიო სიგელებით, საგანგებო ნიშნებით დასაჯილდოებლად და საპატიო წოდებებისა და მოკვეთილი პროფესიის საუკეთესო მუშაკის წოდების მისანიჭებლად.

მუხლი 135. სასჯელი შრომის დისციპლინის დარღვევისათვის

შრომის დისციპლინის დარღვევისათვის საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია იყენებს შემდეგ დისციპლინურ სასჯელებს:

1) შენიშვნას;
2) საყვედურს;
3) სასტიკ საყვედურს;
4) დაბალხელფასიან სამუშაოზე გადაყვანას სამ თვემდე ვადით ან დაბალ თანამდებობაზე ჩამოყენებას იმავე ვადით;
5) დათხოვნას (34-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები).

დისციპლინური პასუხისმგებლობის კანონმდებლობითა და წესდებით დისციპლინის შესახებ, ცალკეული კატეგორიების მუშებისა და მოსამსახურეებისათვის შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს აგრეთვე სხვა დისციპლინური სასჯელიც.

დისციპლინური სასჯელის დადებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ნადანაული გადაცდომის სიმძიმე, მისი ჩადენის გარემოებები, მუშის ან მოსამსახურის წინანდელი მუშაობა და ყოფაქცევა.

მუხლი 136. დისციპლინურ სასჯელთა გამოყენებისა და გასაჩივრების წესი

დისციპლინური სასჯელის დადებამდე შრომის დისციპლინის დამრღვევს უნდა მოეთხოვოს ახსნა-განმარტება.

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია დისციპლინურ სასჯელს იყენებს გადაცდომის გამოვლენისთანავე, მაგრამ არა უგვიანეს ერთი თვისა მისი გამოვლენის დღიდან, მუშაკის ავადმყოფობის ან შვებულებაში ყოფნის დროის ჩაუთვლელად.

დისციპლინური სასჯელი არ შეიძლება დადებულ იქნეს გადაცდომის ჩადენის დღიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ.

შრომის დისციპლინის ყოველი დარღვევისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ერთი დისციპლინური სასჯელი.

დისციპლინური სასჯელი შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს დადგენილი წესით.

მუხლი 137. დისციპლინური სასჯელის მოხსნა

თუ დისციპლინური სასჯელის დადების დღიდან ერთი წლის განმავლობაში მუშას ან მოსამსახურეს არ დაედება ახალი დისციპლინური სასჯელი, იგი ჩითვლება ისეთ პირად, რომელსაც დისციპლინური სასჯელი არ ჰქონია დადებული.

თუ მუშას ან მოსამსახურეს ხელახლა არ დაურღვევია შრომის დისციპლინა და, ამასთან, თავი გამოიჩინა როგორც კარგმა და კეთილსინდისიერმა მუშაკმა, მას შეიძლება მოეხსნას დისციპლინური სასჯელი ერთი წლის გასვლამდე.

მუხლი 138. შრომის დისციპლინის დარღვევის საკითხის გადაცემა ამხანაგური სასამართლოს ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის განსახილველად

ადმინისტრაციას უფლება აქვს დისციპლინური სასჯელის გამოყენების ნაცვლად შრომის დისციპლინის დარღვევის საკითხი განსახილველად გადასცეს ამხანაგურ სასამართლოს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

სპორტული ამგეგი

ბაღდადი: პეტროპოლისის საზონათაშორისო ტურნირის მეათე ტურში პოლუგაევსკიმ დაამარცხა ხუგი, ლიუბოეიჩმა-სავონი, ბაიასასმა-გელერი, იცკოვმა გაიკეთა ყაიმი რეშევსკასთან. დანარჩენი პარტიები გადადგა.

წინ კვლავ ლიუბოეიჩია—7,5 ქულა. ნახევარი ქულით ნაკლები აქვს პოლუგაევსკის. მესამე ადგილზე გადაინაცვლა პორტიშმა, რომელსაც 6,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს.

კალათბურთი. ოლომპიურმა ჩემპიონებმა — საბჭოთა კალათბურთელებმა ზედიზედ მეოთხედ გაიმარჯვეს იორი გაგარინის სახელობის საერთაშორისო ტურნირში. ასპარეზობა ამჯერად მიმდინარეობდა ვილნიუსში. ჩვენმა გუნდმა დაუმარცხებლად ჩაატარა ტურნირი და გადამწყვეტ მატჩში ანგარიშით 60:57 (38:35) სძლია მსოფლიოს ჩემპიონსაა—იუგოსლავიის ნაკრებს.

გუშინ თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდი შეხვდა კიევის არმიელებს და გაიმარჯვა ანგარიშით 87:83. ეს იყო საკავშირო თასის გათამაშების ნახევარფინალი. ახლა დინამოელები ფინალში შეხვდებიან ცსკა-ს. გადამწყვეტი ასპარეზობა გაიმართება სოჩში, 10 და 11 აგვისტოს.

ჩოგბურთში. მხოლოდ ოთხი ქვეყნის გუნდები შემორჩნენ დავისის თასის — მსოფლიოს გუნდური პირველობის გათამაშებას, რუმინეთის ნაკრები, რომელმაც ამასწინათ დაამარცხა საბჭოთა გუნდი, 18-20 აგვისტოს კალიფორნიის ქალაქ ალამიში შეხვდება ამ პრიზის ახლანდელ მფლობელს — ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებს. ამერიკელებმა თავიანთ ქალაქ ლიტლ-როკში ანგარიშით 4:1 სძლიეს ჩილელებს. მეორე წყვილს შეადგენენ ჩეხოსლოვაკიისა (ეკრის „ბ“ ზონა) და ავსტრალიის (აზიის ზონა) გუნდები, რომლებიც ერთმანეთს შეხვდებიან ნოემბერში. ჩეხოსლოვაკელებმა პრაღაში ანგარიშით 4:1 დაამარცხეს ინდოელები. სენსაციური იყო უიმბლდონის წყვეტილი ტურნირის გამარჯვებულის იან კოდეშის დამარცხება კორადო ბარაგუტისთან.

ნიჰბოსნობა. თბილისის ზღვაზე დამთავრდა სსრ კავშირის შეიარაღებული ძ